საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 8 მარტი. 2018 წ. №48 (8449), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ანაკლიას თავისი ღირსება არ აკლია, მაგრამ... ფოთი-ფაზისი არ უნდა გადავაყოლოთ!

ფოთი ოდესღაც ავჯობებს ოდესას, თუ ჩემს გეგმებს განახორციელებენ!

ნიკო ნიკოლაძე

ტვირთი მცირდება, ტარიფები იზრდება 4

სვანეთში ჰესები არ აშენდება! 5

რუსეთის საპასუხო ბირთვულმა დარტყმებმა შესაძლოა, მსოფლიო კატასტროფამდე მიიყვანოს!..

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ფილმისთვის „მსოფლიო წესრიგი 2018“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიო რუსეთის გარეშე დაკარგავს თავის მთლიანობას და თუკი რომელიმე ქვეყანა თავს დაესხმება რუსეთის ფედერაციას, ჩვენი მხრიდან საპასუხო ბირთვული დარტყმა მსოფლიოს კატასტროფამდე მიიყვანს.

„კაცობრიობისთვის ეს იქნება გლობალური კატასტროფა. მაგრამ მე, როგორც რუსეთის მოქალაქე და სახელმწიფო მეთაური, მინდა, დავსვა კითხვა: რისთვის გვინდა ასეთი მსოფლიო, თუკი იქ არ იქნება რუსეთი“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ბიბილოვის განცხადება ტატუნაშვილზე

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ პრეზიდენტის **ანატოლი ბიბილოვის** განცხადებით, ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს სასამართლო ექსპერტიზის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება.

„სამხრეთ ოსეთის კანონების მიხედვით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, იმისთვის, რომ გადმოცემული იქნეს ცხედარი, აუცილებელია სასამართლო ექსპერტიზა. ასეა მიღებული მთელ მსოფლიოში და ასე უბრალოდ არ შეგვიძლია შევასრულოთ მოთხოვნა ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემასთან დაკავშირებით. სამხრეთ ოსეთს უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ ყველაფერი გაკეთდეს კანონიერად, ტატუნაშვილის ცხედარი რომ დოკუმენტების გარეშე იქნეს გადაცემული, ეს, პირველ რიგში, სამხრეთ ოსეთს დაარტყამს. ჩვენ ეს არ გვინდა. საქართველოშიც კი მსგავსი ექსპერტიზის ჩატარებას სულ მცირე ერთი თვე უნდა. არავინ არ ამბობს, რომ ცხედრის გადაცემა არ უნდა მოხდეს, თუმცა საზოგადოებაში ეს აზრიც არსებობს. ვინც ელოდება საკუთარი შვილების დაბრუნებას, მათ შორის ერთ-ერთი 16 წლისა იყო. ჩვენთან 150 ადამიანი ითვლება უგზოუკვლოდ დაკარგულად და ჩვენ ამისგან პოლიტიკას არ ვაკეთებთ“, — განაცხადა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა.

გილოცავთ 8 მარტს!



გულნარა სტურუა: მტრის უზნეობაზე მეტად ჩვენი ხალხის უზნეობა მაწუხებს! 6

მაია მიმინოშვილი: რა უნდა იცოდეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციისთვის 3

მიხეილ ჯანელიძე სერბეთის პრეზიდენტს შეხვდა

სერბეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას და საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას. ამის შესახებ სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდარ ვუჩიჩმა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე განაცხადა.

სერბეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოსთან არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას. შეხვედრაზე განხილული იქნა თბილისსა და ბელგრადში სრულფასოვანი დიპლომატიური მისიის ამოქმედებამდე დიპლომატების დანიშვნის შესაძლებლობა. ორივე მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოსა და სერბეთის შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პრეზიდენტმა გამოხატა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში წარმატებულ ურთიერთობებს. მათ შორის სერბული მხარე დაინტერესდა საქართველოს წარმატებული ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობით, რაც კარგ საფუძველს ქმნის ბიზნესწრეებს შორის შემდგომი კავშირებისათვის. ამ მხრივ მხარეები მიესალმნენ ერთობლივი ბიზნეს ფორუმების გამართვას, აღსანიშნავია, რომ თბილისში იგეგმება საქართველო-სერბეთის ბიზნესფორუმის ორგანიზება.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მიულოცა ალექსანდ ვუჩიჩს ევროინტეგრაციის გზაზე სერბეთის წარმატება, კიდევ ერთხელ გამოიხატა ამ გზაზე სერბეთის გამოცდილების გაზიარებისადმი ინტერესი. ამ მხრივ აღინიშნა უწყებებს შორის წარმატებული თანამშრომლობა, მათ შორის ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს შორის. სერბეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ჯანელიძემ შეხვედრა გამართა ასევე სერბეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან, სერბეთის რესპუბლიკის ევროინტეგრაციის მინისტრთან და სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. გაფორმდა შეთანხმება ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ.

ბათუმში ჟიული შარტავას ხსოვნას პატივი მიაგეს

გუშინ საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დაბადების დღე იყო. ამ დღესთან დაკავშირებით აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ საქართველოს ეროვნული გმირის ძეგლი ყვავილებით შეამკო და მის ხსოვნას პატივი მიაგო. აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს მთავრობის წევრებმა, სკოლის მოსწავლეებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

„74 წლის გახდებოდა ჩვენი ეროვნული გმირი, ბატონი ჟიული შარტავა. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რომ პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. ეს იყო ადამიანი, ვინც თავი შესწირა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას, ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს, მომავალს. და ჩვენ ვალდებული ვართ, ყოველთვის გვახსოვდეს მისი სახელი“ — აღნიშნა ზურაბ პატარაძემ. საქართველოს ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას 74 წელი შეუსრულდებოდა.

მენეჯერები ბიზნესპროგრამებს ნიდერლანდებში შეისწავლიან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, 2018 წლის 19-24 მარტს, ხორცისა და რძის პროდუქტების ქართველი მწარმოებელი კომპანიების მენეჯერები ნიდერლანდებში 5-დღიან სასწავლო ბიზნესპროგრამაზე გაემგზავრებიან.

აღნიშნული სასწავლო მისიის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ექნებათ ეწვიონ რძის პროდუქტებისა და ხორცის გადამამუშავებელ კომპანიებს, გამართონ ორმხრივი „B2B“ შეხვედრები პოტენციურ პარტნიორებთან, დაესწრონ დარგობრივ სემინარებს ევროსტანდარტების დანერგვისა და ზოგადი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით. სწორედ ამ მიზნით, 9 მარტს, 12:00 საათზე სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ სერვის ცენტრში, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლები და ნიდერლანდების სამეფოს ელჩი იოს დოუმა მონაწილეებთან გამართავენ მოსამზადებელ სამუშაო შეხვედრას, სადაც კიდევ ერთხელ იქნება განხილული სასწავლო მისიის საკითხები, მიზნები და მნიშვნელობა.

„ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, პროექტის — „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა ევროკავშირის მხარდაჭერით ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და სატყეო სექტორში დონორი ორგანიზაციების დახმარების კოორდინაციის გაძლიერებაზე იმსჯელეს. ასევე, არალეგალური ტყითსარგებლობის ფაქტების აღმოფხვრის პრაქტიკისა და სოციალური ჭრების სისტემის უფრო მდგრადი და მოქნილი სისტემით ჩანაცვლების საჭიროება განიხილეს.

შეხვედრას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის გარემოსდაცვითი პროგრამის ხელმძღვანელი ალვარო ორტეგა, ლიტვის გარემოს დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის განცხადება - ბორჯომის მოვლენები ოპოზიციის გარეშე

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი ბორჯომის მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„იმის გათვალისწინებით, რომ ვსაუბრობთ თვითმმართველობაზე, რომლის ფუნქციონირებას გააჩნია მკაფიო საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, სპეციფიკა და ამოცანები, ეფექტურად უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრა, უწყვეტად და მაღალი ხარისხით მიაწოდოს მუნიციპალური სერვისები მოსახლეობას, ყველას უნდა ესმოდეს რომ მას სჭირდება მხარდაჭერა და იმის გააზრება, რომ თვითმმართველობის საქმიანობაში არასათანადო ჩარევამ შეიძლება ხელი შეუშალოს და დააზარალოს ზემოთ ხსენებული საჯარო ინტერესები.

სამწუხაროდ, ბოლო დღეების განმავლობაში იყო არაერთი ასეთი მცდელობა, რამაც იქონია კიდეც გავლენა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე.

სამწუხარაა, რომ შექმნილი ვითარების გამო, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები რამდენიმე თვეა, ვერ იღებენ კუთვნილ ხელფასს და დარღვეულია მათი შრომითი უფლება, რაც აისახება ქალაქ ბორჯომის და ბორჯომელების ინტერესებზე.

ამიტომ, საჭიროა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა გამოძებნონ რესურსი ბორჯომის და ბორჯომელების ინტერესების შესაბამისად მოქმედებისათვის.

ამ მხრივ ყურადსაღები და მნიშვნელოვანია ბოლო დღეებში ბორჯომის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები, სადაც ჩანს მზადყოფნა კონსენსუსისთვის.

მკაფიოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ვგმობთ ნებისმიერი სახის ძალადობას.

ვაცხადებთ, რომ დაუშვებელი და საფრთხის შემცველია თვითმმართველობაში, როგორც მმართველობის სისტემის ფუნქციონირებაში ინტერვენცია, ვიწრო პარტიული პოლიტიკის თავსმოხვევის და ხელისშემშლელი საქმიანობის წარმოების მიზნით.

მოვუწოდებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იმოქმედონ ბორჯომელების ინტერესების შესაბამისად“ — ნათქვამია განცხადებაში.

ოპოზიციის განცხადებით, მათთან აღნიშნული ტექსტი კომიტეტს არ შეუთანხმებია.

სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების წესები კვლავ ირღვევა

თბილისის მერმა კახა კალაძემ საზოგადოებას სხვადასხვა დარღვევის შესახებ ზედამხედველობის სამსახურის მოკლე ანგარიში გააცნო და კანონმდებლობის გამკაცრების აუცილებლობაზე ისაუბრა, რათა მომავალში ზედამხედველობის პროცესი უფრო შედეგიანი გახდეს.

როგორც კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ამ ეტაპზე სამშენებლო უსაფრთხოების იგნორირების გამო ან დარღვევით მიმდინარე პროექტებზე გაფრთხილება მიცემული აქვს 500 ობიექტს, მათგან უკვე დაჯარიმებულია 272 სამშენებლო ობიექტი. შეჩერების დადგენილება ამოქმედდა 120 ობიექტის მიმართ. ასევე, მერიის ზედამხედველობის სამსახურმა შეადგინა ოქმი საარჩევნო პლაკატების ჩამოუხსნელობის 59 ფაქტზე.

თბილისში საკანალიზაციო ჭები უნდა მოწესრიგდეს

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით დედაქალაქში „საკანალიზაციო ჭების თავები არის ორმოები და ეს საკითხი მოსაგვარებელია“.

„ბევრს ვსაუბრობთ ქალაქში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელებაზე, ახალი ავტობუსების შემოყვანაზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია, თუმცა მინდა ერთ პრობლემასაც შევეხო, რომელიც ალბათ, თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურად ხვდება. ეს არის საკანალიზაციო ჭების თავები, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს იმ კონკრეტულ ქუჩებზე, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურა არის მოწესრიგებული, ეს საკანალიზაციო თავები წარმოადგენს ორმოებს, შესაბამისად, ძალიან დიდი პრობლემაა მძღოლებისთვის. მე მესმის ამასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, რადგან ეს არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრება, ეს არის კონკრეტული კომპანიების საკომუნიკაციო სისტემები, მაგრამ მე მგონია, რომ ეს მიდგომა არასწორია. ჩვენ ავიღოთ პასუხისმგებლობა ამაზე. ვავალებ ჩემს მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს, რომ უახლოეს მომავალში ცენტრალურ ქუჩებზე, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურა არის მოწესრიგებული, ეს პრობლემა მოგვარდეს. საგზაო ინფრასტრუქტურა როცა მოწესრიგდება, პარალელურად მივხედავთ ამას. ამიტომ გავალებთ, რომ უახლოეს მომავალში დაიწყოთ ამაზე მუშაობა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

უნებართვო გარევაჭრობისთვის ჯარიმები მკაცრდება

ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ხმალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, განმეორებით დარღვევაზე კიდევ უფრო მეტი ჯარიმა იქნება.

„ინიციატივა უნებართვო გარევაჭრობაზე ჯარიმის გაზრდას ითვალისწინებს. უნებართვო გარევაჭრობის აღსაკვეთად, საჭიროა საჯარიმო სანქციების მექანიზმის გამკაცრება და ეფექტური ზედამხედველობის განხორციელება. მივიღე დავალება, რომ გადამზადდნენ ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები, ასევე მოხდეს სამსახურის რეფორმირება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება რესურსის გაზრდა, რათა ეფექტური შედეგები მივიღოთ. განმეორებით დარღვევაზე კიდევ უფრო მეტი ჯარიმა იქნება. ფართები არსებობს, თუმცა ხდება უნებართვო ვაჭრობა და ეს უნდა აღიკვეთოს. რაც შეეხება ჯარიმების ოდენობას, ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ“, — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

უსაქმო პარტიები მახათში ერთ ადგილს უყრიან!

ოპოზიცია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთვის უნდობლობის გამოცხადებას ითხოვს

პოლიტიკური პარტიები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიმართ უნდობლობის პროცედურის დაუყოვნებლივ დაწყებას ითხოვენ. პარტიებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს და გაავრცელეს პოლიტიკური გაერთიანებების სპეციალური განცხადება, რომელსაც 11 პარტია აწერს ხელს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა და მისი ერთგულება ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, მოქალაქის მიერ დაფინანსებული და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მაუწყებლის ჩამოყალიბება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. კანონმდებლობით შექმნილი დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის მაღალი გარანტიების მიუხედავად, გამოცდილებამ გამოავლინა, რომ მიუღწევადი გახდა საზოგადოებრივ მაუწყებელში პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი მმართველი ორგანოების ჩამოყალიბება. საქართველოს პარლამენტის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილმა ბოლო ცვლილებებმა და ვეტოს დაძლევის პროცედურამ დაადასტურა, რომ ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს იმისთვის, რომ საბოლოოდ შეუძლებელი გახდეს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩამოყალიბება. „ქართული ოცნება“ ურყევად დაადგა პოლიტიკური ძალადობის გზას და ამ ცვლილებებით კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა მიაყენა სიტყვის თავისუფლებას და მედიაპლურალიზმს.

პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, საქართველოს პრეზიდენტის აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელისუფლებამ მაინც დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ძალზე უარყოფით რყევებს გამოიწვევს მედიაბაზარზე, შეავიწროებს კერძო მაუწყებლებს და, ამავდროულად, შექმნის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მაუწყებლის გაუმჭვირვალედ საქმიანობის, კორუფციული გარიგებების დადების კანონიერ შესაძლებლობას. კერძოდ, ა) საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის კომერციული რეკლამის განთავსებაზე შეზღუდვის მოხსნა (გამონაკლისების გარეშე) აზარალებს ყველა კერძო ტელემაუწყებელს და შეამცირებს მათ სარეკლამო შემოსავალს, იმ ფონზე, როცა საზოგადოებრივ მაუწყებელს იმთავითვე აქვს დაფინანსების უპირატესობა (52 მილიონი ლარი წელიწადში); ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელზე არ გავრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი ღია და გამჭვირვალე პროცედურები; გ) ყოველგვარი სტანდარტების გაწერის გარეშე, აძლევს უფლებას საზოგადოებრივ მაუწყებელს, დააფინანსოს ეგრეთ წოდებული სტარტაპები. საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცესების მთლიანობაში დანახვა ნათელს ხდის „ქართული ოცნების“ მიზანს – საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნას პოლიტიკური ზეგავლენის „კანონიერი“ ბერკეტები და ის კიდევ უფრო დააშოროს საზოგადოებას. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ პარლამენტმა ახალი ცვლილებებით საჯარო დაფინანსებით მოქმედ მაუწყებელს მოუხსნა შესყიდვების საჯაროდ განხორციელების ვალდებულება იმ ფონზე, როდესაც ამავე პარლამენტს უკვე მიღებული ჰქონდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, რომელმაც გამოავლინა არაერთი მძიმე დარღვევა. ანგარიშში, რომელიც პარლამენტისთვის მზადდება, რათა ხელი შეუწყოს პარლამენტს გონივრული და პროგრესული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასახულია მძიმე ფინანსური დარღვევები, საჯარო ფინანსების უკანონოდ ხარჯვის ფაქტები... რაც პარლამენტის მხრიდან „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად უნდა გამხდარიყო სამეურვეო საბჭოს მიმართ უნდობლობის პროცედურის დაწყების საფუძველი. სწორედ ეს გარემოება ხდის სიტუაციას კიდევ უფრო მძიმეს და ამ ხელისუფლების პირობებში ვითარების გამოსწორებას შეუძლებელს, რადგან პარლამენტმა, ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესებულიყო ფინანსური დარღვევებით, მიღებული საკანონდებლო ცვლილებებით, გზა გაუხსნა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას თვითნებური და უკანონო მოქმედებისათვის. ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები მივიჩნევთ, რომ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი ხელახლა შეიტანს ცვლილებებს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, რომელიც დაფუძნებული იქნება ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონსენსუსზე, უარს იტყვის მედიასფეროში სახელისუფლებო ინტერვენციაზე და გაუუქმებს საზოგადოებრივ მაუწყებელს კორუფციული გარიგებების დადების „კანონიერ“ შესაძლებლობას; – დაუყოვნებლივ დაიწყოს სამეურვეო საბჭოს მიმართ უნდობლობის პროცედურა და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ დისკუსიას მაუწყებელში არსებულ დარღვევებზე, მათ შორის, დღევანდელი გენერალური დირექტორის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობის შესწავლას და განხილვას. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია გენერალური დირექტორის უკანონო მოლაპარაკებებთან და სამთავრობო გავლენებთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს წევრების შერჩევის პროცესში; – აქტიური მსჯელობის საგანს გახდის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, რადგან საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს დამაჯერებელი, კვალიფიციური და სანდო პასუხები მთელი რიგი საავტორო გადაცემების დახურვის მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე, ისევე როგორც ბრიუსელის ბიუროს დახურვის დასაბუთებაზე და სარედაქციო პოლიტიკაში ანტიდასავლური ელემენტების მომძლავრებაზე. ასევე, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხლებლობის სტანდარტების დაცვაზე, რადგან ჩვენ პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტის შემსწრე გავხდით, რისი საფუძველიც მაუწყებლის მხრიდან განმარტებული იყო, როგორც სამართალდამცავი ორგანოების „კანონიერი“ მოქმედების ჩვენების საჯარო ინტერესი (რატიანის საქმე). შესაბამისად, მოვუწოდებთ საპარლამენტო უმრავლესობას, განაახლოს აღნიშნულ საკითხზე დიალოგი მედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, პრეზიდენტთან და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული ვითარების გამოსწორებას“.

განაცხადებას ხელს აწერენ:
„ახალი მემარჯვენეები“, „ახალი საქართველო“, „ევროპული დემოკრატები“, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“, „თავისუფალი საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკური პარტია“.

რედაქციისგან:

ძვირფასო მკითხველო! ნუ შეგეშინდებათ, რასაც ეს ყარტა-ყურტა ოპოზიციური პარტიები ამ „შემზარავ მი მართვაში“ წერენ, ნამეტნავად გაზვიადებულია. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აშკარად თვალში გამოიხედა და რეფორმების გზაზე შემდგარი ტელევიზია დაუნდობლად, ნაციონალურად კი არ უნდა აკრიტიკო, უბრალოდ, გადართო და სერიოზული, სანდო, საინტერესო გადაცემები ნახო!

რა უნდა იცოდეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციისთვის

ინტერვიუ მაია მიმინოშვილთან

2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია უკვე დაიწყო. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რეგისტრაცია 30 მარტის 18:00 საათამდე გაგრძელდება. მისი თქმით, გარდა აბიტურიენტებისა, რეგისტრაცია დაიწყო სტუდენტთა საგრანტო კონკურსის, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და მასწავლებელთა საგნის გამოცდისთვის. აპლიკანტებმა რეგისტრაცია ელექტრონულად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე www.naec.gov.ge და online.naec.ge უნდა გაიარონ. რეგისტრაციის პროცესი რამდენიმე ეტაპად ტარდება. ამის შესახებ უფრო დეტალურად მაია მიმინოშვილმა „მაესტროსთან“ ისაუბრა.

– გვითხარით, რა არის მთელი ამ პროცესის მთავარი ეტაპები და რა უნდა იცოდეს პირველ რიგში აბიტურიენტმა იმისთვის, რომ უყურადღებობა არ გახდეს მისი წარუმატებლობის მიზეზი?

– დღეს, როგორც ახსენეთ, უკვე დაიწყო რეგისტრაცია აბიტურიენტებისთვის, მაგრამ არა მხოლოდ აბიტურიენტებისთვის, არამედ მაგისტრობის მსურველებისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, რომლებიც ამ ერთიან პროცესში მონაწილეობენ. აბიტურიენტებისთვის რეგისტრაცია სამ ეტაპად გაგრძელდება. დაიწყო 7 მარტს 15 საათიდან და პირველი ეტაპი დასრულდება 30 მარტის საღამოს 6 საათზე. პირველი ეტაპი გულისხმობს იმას, რომ აბიტურიენტმა სრულად უნდა გაიაროს რეგისტრაცია, უნდა შეავსოს აუცილებელი ველები და აირჩიოს საგამოცდო ქალაქი. 30 მარტის შემდეგ საგამოცდო ქალაქის ცვლილების შესაძლებლობა აბიტურიენტს არ ექნება, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე ეტაპზე, რომელიც 15 მაისამდე გაგრძელდება, მას საშუალება ექნება, შეცვალოს არა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების და პროგრამების ჩამონათვალი, არამედ ის საგამოცდო საგანი ან საგნები, რომელიც მან აირჩია ჩასაბარებლად. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება სავალდებულო გამოცდები – ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა და უცხო ენა, იმიტომ რომ, ეს ყველა აბიტურიენტს აქვს ჩასაბარებელი, არამედ არჩევითი გამოცდა ან გამოცდები, რომელსაც ის ირჩევს იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს სწავლა. რაც შეეხება მესამე ეტაპს, აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა, კიდევ შეიტანოს ცვლილებები უმაღლესი სასწავლებლების და პროგრამების ჩამონათვალში. წელს კიდევ უფრო გავუხანგრძლივეთ ეს პერიოდი ჩვენს აბიტურიენტებს, 15 აგვისტომდე ექნებათ, საბოლოო არჩევანის გააკეთების შესაძლებლობა. მინდა, აბიტურიენტები რეგისტრაციისას ყურადღებით იყვნენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, იმიტომ რომ, საბოლოო ჯამში ამაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას და სწორად აირჩევს თუ არა მისთვის სასურველ უმაღლეს სასწავლებელს.

ახლა მიმდინარეობს აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესი რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში და შესაძლოა, ხარისხის განვითარების ცენტრი არაგეგმიურად შევიდეს სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით, შესაძლოა შეიცვალოს იმ უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ, სტუდენტები მიიღონ და მინდა ყველა აბიტურიენტს ვთხოვო, ამ პერიოდის განმავლობაში პერიოდულად შეამოწმონ სიახლეები, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, აუცილებლად გამოვაქვეყნებთ ჩვენს ვებ-გვერდზე, იმიტომ რომ, საბოლოო ჯამში, შეიძლება აღმოჩნდეს ისე, რომ აბიტურიენტმა მიუთითა კონკრეტული უმაღლეს სასწავლებელი, ამ უმაღლეს სასწავლებელს კი ჩამოერთვა ავტორიზაცია და ბუნებრივია, ეს უმაღლესი სასწავლებელი ჩარიცხვებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამიტომ ვთხოვ ყველა აბიტურიენტს, ყურადღებით იყოს.

– კიდევ რა ტექნიკური შეცდომა შეიძლება დაუშვას აბიტურიენტმა, რის გამოც ის ვერ გავა გამოცდაზე? კიდევ რას უნდა მიაქციონ ყურადღება?

– პირველ რიგში, რაც ამ წლებმა გვაჩვენა, მას შემდეგ, რაც ელექტრონულ რეგისტრაციაზე გადავედით, გახლავთ ის, რომ აბიტურიენტი რეგისტრაციას არ ასრულებს. მან აუცილებლად უნდა დააჭიროს შენახვის ღილაკს თითი, იმიტომ რომ, სხვა შემთხვევაში აბიტურიენტის მონაცემები ან ის ცვლილებები, რომელიც მან შეიტანა საკუთარ არჩევანში, არ აისახება ჩვენს მონაცემთა ბაზაში. ამის თავდასაცავად ცვლილების განხორციელების შემდეგ აბიტურიენტს ავტომატურად ეგზავნება შეტყობინება მის მიერვე მითითებულ ელექტრონულ მისამართზე და ეს არის იმის დასტური, რომ მის მიერ შეტანილი ცვლილება და მონაცემები ასახულია ჩვენს ბაზაში. თუ ის შეტყობინებას არ მიიღებს, მაშინ მან აუცილებლად კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს საკუთარ პირად გვერდზე, რამე ხომ არ შეეშალა რეგისტრაციის დროს და დააჭირა თუ არა შენახვის ღილაკს ხელი.

ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲙᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲤᲝᲗᲘ-ᲤᲐᲖᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲧᲝᲚᲝᲗ!

ᲐᲛ რამდენიმე წლის წინათ პოლიტიკურმა მასხარა მიხეილ სააკაშვილმა ფოთელებს აღუთქვა — ნავსადგურს დაგიბრუნებთო და... ცოტა ხანში ის ერთი ამწის ფასად გაყიდა, რისთვისაც სამართლებრივად უნდა აგოს პასუხი და არა რაღაც ყურით მოთრეული დანაშაულებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო ქონების განიავებაზე და უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტაზე.

ფოთის ნავსადგურს კი უფრო ადრე შევარდნაძემ შეუყენა წყალი, როგორც ვითომ წამგებიან ობიექტს. ქალაქმა, რომლის პორტი ტერმინალად აქციეს, დაკარგა საქართველოს საზღვაო კარიბჭის ფუნქცია, ამიტომ, უფუნქციოდ დარჩენილი ქალაქ ფოთის მოსახლეობას ნაკლებად სჯერა, რომ მომავლის ანაკლიის პორტი ხალხის სამსახურში ჩადგება და დუბაი ან სინგაპური გახდება! ფოთელებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ უძველეს ფაზისქალაქში ზარ-ზეიმით გახსნა თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ზონა, რომელიც მალე გახდებაო ბიზნესის მექა. მტერი არაა მეტი, მას მერე 10 წელზე მეტი გავიდა და მხოლოდ ორიოდე საწარმო დროგამოშვებითღა მუშაობს! დუბაის რა გითხრათ და საპორტო ქალაქს 12 მილიონიანი ბიუჯეტით, ალბათ, ანალოგი არ ექნება მსოფლიოში, — ხვთისა და კაცისგან მიტოვებულ დაბას ჰგავს.

ფოთის ახალი ნავსადგურის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, ბატონი ჯემალ გერსამია წლების განმავლობაში იყო ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის მთავარი ინჟინერი და როგორც მისი გაყიდვა-გასხვისების ხელშემშლელი, გაანთავისუფლეს სამსახურიდან და ლამის სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. ბატონი ჯემალის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტი მსოფლიოს წამყვანმა სპეციალისტებმა მოიწონეს, ამერიკელი ინვესტორები გამოჩნდნენ, მაგრამ, ხომ იცით — „უჩემოდ ვინ იმღერეთაო“, არც წინა და არც ახალმა მთავრობამ ეს პროფესიონალი კაცი არ გაიკარა. დასანანია, როცა შინაურ მღვდელს მართლაც არა აქვს შენდობა და საუკეთესო იდეები რჩება ჰაერში გამოკიდებული.

დღეს კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ფოთის ახალი ნავსადგურის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს, ბატონ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐს.

ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის დაწყების ვადები რამდენჯერმე გადაიდო უსახსრობის გამო, თანაც ვერ მოხერხდა საბიუჯეტო თანხების ჩართვა — გიორგი გახარიას ეყო ვაჟკაცობა და უარით გაისტუმრა ამ საქმის მოთავენი და ადგილზე მისი ხელშემწყობნი.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲯᲔᲛᲐᲚ, ვინ, თუ არა თქვენ კარგად უწყით, როგორ და რა ვითარებაში გასხვისდა ფოთის პორტი, იქნებ გაიხსენოთ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

— ქალაქისა და ნავსადგურის უბედურება დაიწყო შევარდნაძის მთავრობის პერიოდიდან, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ 2005 წელს ფოთში სპეციალურად ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი, სადაც გაკეთდა დასკვნა, რომ ნავსადგური არის არარენტაბელური და უპერსპექტივო!

2008 წლის 8 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ფოთის პორტის პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისების შესახებ არაბულ კომპანია „რას ალ ხაიმას“ საინვესტიციო სააგენტოზე. გაყიდვა განხორციელდა 2 ეტაპად: I ტრანსაქცია შეადგენდა 56%-ის ღირებულებას, 90 მილიონ დოლარს. მეორე ტრანსაქცია კი — 65 მილიონ დოლარს (49%) ოქროს აქციების ღირებულებებს, სულ პრივატიზების ღირებულებამ შეადგინა 155 მილიონი დოლარი! უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო აუდიტების შეფასებით ნავსადგურის ღირებულება აღემატებოდა 300 მილიონ დოლარს და მისი შესყიდვის მსურველებად დარეგისტრირებული იყვნენ ისეთი კომპანიები როგორიცაა „დუბაი ვორდი“, „ჰამბურგის პორტი“ და სხვა მრავალი („დუბაი ვორდი“ წარმოადგენს დუბაის ეკონომიკური სასწაულის შემოქმედს 1979 წლიდან; „ჰამბურგის პორტი“ კი თავისუფალი პორტის სტატუსის მატარებელია თითქმის 300-წლიანი გამოცდილებით, 1727 წლიდან). მათთან შედარებით „რას ალ ხაიმას“ საინვესტიციო საგენტო სანავსადგურო საქმეში სრულიად გამოუცდელ და უსახურ კომპანიას წარმოადგენდა, რაც ნავსადგურის მუშაობის შედეგებზე მალევე აისახა და ამ კომპანიამ, როგორც თავად განაცხადეს მოგების მიღების მიზნით (?!) ნავსადგური 2011 წელს გაყიდა საიდუმლო ფასში დანიურ კომპანია „მორელი-მაერსკიზე“ (გაიყიდა აქტივების 80%, 20% კი დარჩა მისი ჯგუფის წარმომადგენელს — „რაკია ჯორჯიას“) .

2008 წლის 8 აპრილს ფოთის პორტის გასაიდუმლოებული გაყიდვის შემდგომ დღეებში, 15 აპრილს, ფოთის საზღვაო ვაგზლის მოედანზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დიდ თეთრ ბანერზე შავი ფანქრით გააკეთა წარწერა ფოთის პორტში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედების შესახებ და ფოთი გამოაცხადა „დუბაი 2“-ად, ამის შემდეგ ყველა ტელეარხით გადაიცემოდა „ფოთი-დუბაი 2“-ის“ ანიმაციური კადრები, რომელმაც გადაფარა ფოთის პორტის პირდაპირი წესით გაყიდვის პროცესი. აგრეთვე გადაიფარა საკანონმდებლო მანიპულაცია, რომლის მიხედვითაც ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა (3300 ადამიანი) ვერ მიიღო ადრე კანონმდებლობით განსაზღვრული 0,9% უფასო აქციებისა. ასეთი უფასო აქციები ადრე მიღებული ჰქონდათ ნავსადგურის მომიჯნავე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საწარმოებს. ნავსადგურელები პირში ჩალა გამოვლებულები დარჩნენ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲯᲔᲛᲐᲚ, რას იტყოდით საქართველოს კონტინენტალურ სატრანზიტო მისიაზე, ანაკლიის პორტზე და ფოთში ახალი ნავსადგურის აშენების თქვენეულ გეგმაზე?

— 10 წლის წინათ ჩვენ ამ საკითხებზე პრინციპულად ვწერდით. უმჯობესია, დავუშვათ აზრი, რომ ქვეყნის ეკონომიკურ მშენებლობაში წარუმატებლობა უფრო საერთაშორისო შეთქმულების შედეგია, ვიდრე უნიათო ხელისუფლებისა. დასანანია, რომ ჩვენი ნაციონალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საკითხი არ იძვრის ადგილიდან. მდინარე ენგურის შესართავში ღრმაფსკერიან ნავსადგურ ანაკლიას და საზღვაო ქალაქ ლაზიკის მშენებლობებიც ქაღალდზეა დარჩენილი.

ამ ტერიტორიაზე არ არის კომუნიკაციის საშუალებები, ირგვლივ ჭაობია და ეს ადგილი ფრინველების გადაფრენის ზოლია. რიონთან კი გაცილებით უფრო ღრმა კანიონია და, საერთოდ, აქ პორტის კი არა დიდი ტერმინალის მშენებლობას ვარაუდობენ.

ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის დაწყების ვადები რამდენჯერმე გადაიდო უსახსრობის გამო, თანაც ვერ მოხერხდა საბიუჯეტო თანხების ჩართვა — გიორგი გახარიას ეყო ვაჟკაცობა და უარით გაისტუმრა ამ საქმის მოთავენი და ადგილზე მისი ხელშემწყობნი.

ხაზგასასმელია ისიც, რომ პორტის მშენებლობაში არ იქნა ჩართული დიდი ჩინური კომპანია და მსოფლიოში ცნობილი გადამზიდავები „მაერსკის“ სახით. გასაგებია, ვის რა ამოძრავებს, თანაც არაპროფესიონალები არიან. დრო გვიჩვენებს წინა პლანზე სახელმწიფო ინტერესებია თუ პირადი.

— რით შეიძლება დღეს ვითარების გამოსწორება?

— სასწრაფოდაა დასაწყები კონტეინერების გადამამუშავებელი საზღვაო კომპლექსის აშენება. ამისთვის შეიქმნა თავის დროზე ჩვენი საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დაამუშავა ქალაქ ფოთში საზღვაო დარგების ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საზღვაო კონცეფცია. საქართველოში სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს სასმელი წყლის დიდი ოდენობით მოპოვება-გასაღების იდეა, რომელსაც უნდა მოჰყვეს ჩვენი ქვეყნის მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვეყნად გადაქცევა. ეს იდეა სულ უფრო რეალური ხდება და ხვალ თუ ზეგ პროექტირება და მშენებლობაც დაიწყება. თუ ეს ასეა, პირველ რიგში, ამ წყლის გატანის პრობლემაზე უნდა ვიფიქროთ. პირველ რიგში, საზღვაო გადაზიდვებია მოსაგვარებელი, სხვა ტრანსპორტი ამისთვის, უბრალოდ, მიუსადაგებელია. (საერთოდ, მსოფლიო ტვირთგადაზიდვების ნახევარზე მეტი წყლის ტრანსპორტით წარმოებს). თუ ტრანსკონტინენტალურ გადაზიდვებს ჩავრთავთ, მაშინ გადაზიდვების პროცენტი 75-მდე გაიზრდება. საწყლოსნო-ტრანსპორტის ტვირთების გადაზიდვის ღირებულებაც საგრძნობლად უფრო იაფია, ვიდრე დანარჩენი სხვა საშუალებებით.

საქართველოს საზღვაო ნავსადგურების ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაერთიანების სერიოზულ არგუმენტად უნდა მივიჩნიოთ ევროპის უცნობილესი კომპანიების დასკვნები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ლოჯისტიკური ცენტრის შექმნის თაობაზე, რომელიც შეძლებს საქართველოს ყველა სახის ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაციას, მოიზიდავს ე.წ. „აბრეშუმის გზაზე“ ცენტრალური და შუა აზიის ტვირთნაკადებს, ასევე ევროპისა და ჩრდილოეთ ევროპის ტვირთნაკადებსაც.

ჩვენს მიერ შეთავაზებული მრავალდარგოვანი სანავსადგურე კომპლექსი მოიცავს საკონტეინერო, ნავთობგამტარ, მეთევზეთა ტერმინალებს, რომელსაც ახლა წყალგამტარი ტერმინალებიც დაემატება, აგრეთვე გათვალისწინებულია რიგი ღია და დახურული საწყობების მოწყობა. საწარმოო მოედნებზე გათვალისწინებულია ყველაზე მოწინავე პორტალური და შიდასანავსადგურე ტექნიკის დანერგვა. ტვირთების კონტროლისა და გაფორმების სისტემა ძალზე მარტივი იქნება და საბუთების ბრუნვის დროს დაიყვანს სულ რამდენიმე წუთამდე. ის რომ, ახალი ნავსადგური იქნება შიგ ქალაქის ზონაში, ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების მოგვარებას, პროექტები ითვალისწინებს მთელ რიგ სოციალურ პროგრამებს - სკოლამდელი დაწესებულების, სპორტულ-კულტურულ გამაჯანსაღებელი დასასვენებელი ბაზების, პენსიონერების, ვეტერანებისა და ინვალიდების ცენტრების მოწყობას.

მიუხედავად მთლიან მექანიზაციაზე გადასვლისა, ახალ სანავსადგურე კომპლექსში იმუშავებს 2000-მდე კაცი. თევზის ტერმინალზე იწარმოებს მცირე და საშუალო საზღვაო გემების შეკეთება და მცირე გემების მშენებლობა. ტვირთგადამუშავების გვერდით განვითარდება თევზჭერა შავ ზღვაზე და მსოფლიო ოკეანეზე, საერთაშორისო წყლებში.

იგეგმება როგორც საზღვაო, ისე მტკნარი წყლის აკვაკულტურის მთელი რიგი ობიექტების შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დაახლოებით კიდევ 800 ადამიანი დავასაქმოთ. თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ და-

სახელებული ობიექტები გაშენდება მალთაყვის ახალდასახლებულთა (ლტოლვილთა) რაიონის სიახლოვეს და ამ ობიექტებზე ძირითად ახალმოსახლეებს შეეძლებათ დასაქმება, ესეც კარგი მაგალითი იქნება ქალაქში პრაგმატული ნაბიჯების გადადგმისა, მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით.

რიონის ჩამონატანი სილის გადამუშავებისათვის უნდა მოვახერხოთ ორი ქარხნის აშენება (რაც 300 კაცს დაასაქმებდა). სანიტარიულ-ტექნიკური ნაკეთობების და სამშენებლო მასალების გამოშვება იქნება იმის კარგი მაგალითი, თუ როგორ გონივრულად და მზრუნველობით შეიძლება გამოიყენო ბუნებრივი რესურსები და ზიანი არ მიაყენო ეკოლოგიას. მთელი შავიზღვისპირეთის ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და ნავსადგურის ნაგებობების შეკეთების პრობლემებს გადაწყვეტენ ახალშექმნილი ორგანიზაცია „საქზღვამშენი“, „საქზღვანაპირდაცვა“, ეს საწარმოები ნავსადგურისა და ჰიდრონაგებობების მშენებლობისა და ზღვის ნაპირის გამაგრება-რემონტისთვის გამოიყენებს ბუნებრივ მასალებს სენაკისა და ხობის რაიონის კარიერებიდან. ამით მეზობელ რაიონებსაც ვასარგებლებთ და პროექტი გავა უკვე რეგიონალურ მასშტაბებზეც. სულ 2500 კაცზე მეტი დასაქმდება.

საქართველოში კი ამისთვის ყველაზე უფრო გამოსადეგი, ყველაზე უფრო მოსახერხებელი ქალაქი ფოთი და მისი შემოგარენია. ღვთის ნებით, აქ ამისათვის ყველა პირობა და შესაძლებლობა არსებობს. ჩვენს პროექტებში არა მარტო ეს საკითხები, არამედ მისი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხიცაა გაშუქებული. ინვესტორები მზად იყვნენ, ნავსადგურის მშენებლობაში ჩაედოთ საჭირო თანხები.

დიდი სურვილი გვაქვს ჩვენს პროექტში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა ადგილობრივმა ბიზნესმენმა. პროექტების განხორციელება და ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება თავისთავად გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, ასობით კერძო მეწარმის დაბადებას, გამოცოცხლდება მოხმარების სფერო, შეიქმნება ახალი ინფრასტრუქტურა, გამოცოცხლდება ქალაქი და არ იქნება უმუშევრობა.

— ბატონო ჯემალ, თქვენ წლების წინათ აყენებდით საკითხს შავი და კასპიის ზღვებს შორის გემთმიმოსვლისათვის ახალი არხის გაჭრის თაობაზე, რაც საქართველოში უტოპიად მიიჩნიეს, არადა, მსოფლიოში არის ამის ანალოგიები.

— საქართველოს მთავრობას, ფოთის ადგილობრივ თვითმმართველობას და პარლამენტის დეპუტატს ქ. ფოთიდან წარვუდგინე ფოთისა და ფოთის ნავსადგურის განვითარების გეგმა, აგრეთვე იდეა შავ და კასპიის ზღვებს შორის გემთმიმოსვლის შესახებ მდინარეების, რიონისა და მტკვრის კალაპოტებს შორის გამტარი არხის მშენებლობის თაობაზე. ვინ დახარჯავს მილიონებს, იმ იდეის და საპროექტო წინადადებების განხორციელებისათვის? სამწუხაროდ, საქართველოში ნებისმიერი პროექტი, თუნდაც სულ მცირე, რომელიმე სოფლისთვის განკუთვნილიც კი, ხდება პოლიტიკური დისკუსიის საგანი, ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

ამას წინათ, ჩინელებმა იყიდეს ზღვისპირა მიწები, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის გამოიყო 10 წლის წინათ, ეს არის შავიზღვისპირეთის ყველაზე მიტოვებული ადგილი. ჩინელები დაპირდნენ ფოთის ახალი პორტის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფს, რომ მათ წინადადებებს განიხილავდნენ. ვნახოთ, ხვალ რა იქნება!

მე კვლავ მივმართავ ქალაქისა და ქვეყნის ხელმძღვანელობას, საჯაროდ ცნობილი გახდეს ქვეყნისა და ქ. ფოთის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია შემდგომი 20 წლის განმავლობაში. მაშინ ქვეყანაში ყველას ეცოდინება, რა მიმართულებით უნდა იაროს ქვეყანამ, ქალაქმა და უცხოელი ინვესტორებისთვისაც გასაგები გახდება სად, როდის და როგორ მიმართონ ჩვენ ქვეყანაში საკუთარი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები.

— გმადლობთ ინტერვიუსთვის.

ზურაბ აბრალავა,
გაზეთ „სრ“ საკ. კორ.
ფოთი.

ტვირთი მცირდება, ტარიფები იზრდება

საქართველოს სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 201 წლის პირველ თვეში 2.7 მლნ ტონა შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.3 მლნ ტონით შემცირებული მაჩვენებელია. ვარდნის ტენდენციის შეჩერება ვერაფრით ხერხდება. რაც დრო გადის, საქართველოს დერეფანი თავის ფუნქციას კარგავს.

იანვარში საზღვაო ნავსადგურებში და საზღვაო ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთების მოცულობამ 1.3 მლნ ტონა შეადგინა, ნაცვლად გასული წლის იანვარში 1.2 მლნ ტონისა.

ყულევისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთების მოცულობა წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა და შესაბამისად, ყულევში 0.1 მლნ ტონა, ხოლო ფოთში 0.6 მლნ ტონა შეადგინა. გადამუშავებული ტვირთების მოცულობა შემცირდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურში და 0.3 მლნ ტონა შეადგინა, ხოლო სუფსის საზღვაო ტერმინალში კი 0.4 მლნ ტონამდე გაიზარდა.

რასაკვირველია, კლებაა რკინიგზის მიმართულებით. წლის პირველ თვეში მხოლოდ 0,7 მლნ ტონა ტვირთის გადაზიდვა მოხერხდა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 300 ათასი ტონით ჩამორჩება.

„ჰაბ ჯორჯიას“ ექსპერტი საქართველოს დერეფანში ტვირთბრუნვის შემცირების ტრენდის გაგრძელებას რეგიონში, საპორტო მოსაკრებელების და გადაზიდვის ტარიფების ზრდას უკავშირებს. **პაატა ცაგარეიშვილი** მიიჩნევს, რომ ეს უარყოფითი სიგნალია, რადგანაც ტარიფების ნებისმიერ ზრდას ჯაჭვური რეაქცია გააჩნია და დერეფნის კონკურენტუნარიანობას ამცირებს, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც საქართველოს დერეფანი, რუსეთთან შედარებით, ისედაც ნაკლებკონკურენტულია, მაგალითად, ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას.

2018 წლიდან აკტაუს, კურიკისა და თურქმენბაშის ნავსადგურებში 25-30%-ით გაიზარდა საპორტო მოსაკრებელი, რასაც ავტომატურად მოჰყვა აზერბაიჯანის საზღვაო სანაოსნოს მხრიდან საბორნე გადაზიდვებზე 2-3%-იანი მატება.

„გადამზიდავების ინფორმაციით, კასპიის რეგიონში სინქრონულად მოხდა იანვარ-თებერვალში ტარიფების ზრდა, ამან გამოიწვია საქართველოს ნავსადგურებში, ტერმინალებში ნავთობის გატარებაზე ტარიფების მატება“, — განუცხადა „ჯიბისის“ ცაგარეიშვილმა და დასძინა, რომ ბოლო 5 წელია, ტვირთბრუნვის კლების ტენდენციაა, რაც იანვარშიც შენარჩუნდა.

მისი აზრით, აქცენტი არა ჩინეთზე, არამედ ცენტრალურ აზიაზე უნდა გაკეთდეს. ეს ქვეყანა ტრანსკასპიური დერეფნის ქვეყნებს და რუსეთს ტარიფების დაკლებაზე ევაჭრება და ერთმანეთის კონკურენტს ხდის.

„ჩინეთიდან სახმელეთო ტვირთების გადაზიდვის პერსპექტივა ცოტა შორეული გეგმაა. 2017 წელს ევროპა-ჩინეთს შორის სულ 440 000 კონტეინერი იყო სახმელეთო გზით გადაზიდული, მაშინ, როდესაც 21 მლნ კონტეინერი მოძრაობდა საზღვაო ხაზებით. ეს იმას ნიშნავს, რომ წილობრივი გადანაწილება საზღვაო და სახმელეთო ხაზებს შორის 98/2-ზეა. 2%-იანი ტვირთნაკადისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება კი, არ მგონია, რომ დერეფნის მონაწილე სახელმწიფოებისთვის იყოს ძალიან მიმზიდველი, ამიტომაც, ჩადებულ ინვესტიციას არ ექნება მაღალი ფინანსური უკუგება“, — მიიჩნევს ცაგარეიშვილი.

იგი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიიდან მშრალი და ნაყარი ტვირთების მოზიდვა, შაქრის გადაზიდვის აღდგენა, რომელიც მთლიანად დაიკარგა. ასევე პერსპექტიულია უკრაინიდან ტვირთების მოზიდვაც, მათ შორის ხორბლის და მზესუმზირის ზეთის.

ეკონომიკის ექსპერტი **ალექსანდრე თვალჭრელიძის** აზრით, ვინაიდან ნავთობი ახლა იაფია, ცენტრალური აზიიდან საქართველოს პორტებში ტვირთის გადმოზიდვა ძალიან ძვირი ჯდება ჩვენს დერეფანში არსებული ტარიფების გამო: **„იაფი ნავთობის პირობებში სხვანაირი პოლიტიკა უნდა იყოს გატარებული. მეჩვენება, რომ სტრატეგიაზე არ მუშაობენ. მთავრობაში მოსული ხალხი მუშაობს იმ ოთხ წელიწადზე, რა ვადითაც არიან დანიშნულები, სხვა არაფერი აინტერესებთ“,** — აცხადებს თვალჭრელიძე.

ექსპერტი „დიდ დანაშაულად“ მიიჩნევს თავის დროზე ბათუმისა და ფოთის პორტების პრივატიზებას: **„ეს იყო ძვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტები. რომელი პორტია კერძო? თუნდაც ამერიკული მსხვილი პორტები ყველა სახელმწიფოა... ჩვენი პორტების მმართველებს არ აინტერესებთ ძვეყნის სტრატეგია და მუშაობენ მხოლოდ მოგებაზე. ეს არის მოჯადოებული წრე — ტვირთი თუ მცირდება, ტარიფებს ზრდიან, ფიქრობენ დღევანდელ დღეზე და არა ხვალინდელზე“,** — აღნიშნა თვალჭრელიძემ.

ბექა დანელია

სვანეთში ჰესები არ აშენდება!

სვანეთში ახალი ძალით იფეთქა საპროტესტო ტალღამ, საქართველოს ამ მაღალმთიან წალკოტში ჰიდროელექტოსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ. ამჯერად მიზეზი მდინარე მესტიაჭალაზე მიმდინარე ორი ჰესის მშენებლობაა („მესტიაჭალა ჰესი-1“ და „მესტიაჭალა ჰესი-2“), რომელსაც „საქართველოს ბანკი“ შვილობილი კომპანიების (BGEO, „გალტ ენდ თაგარტი“, სგეკ, „სვანეთი ჰიდრო“) მეშვეობით და ავსტრიელი ინვესტორების თანადაფინანსებით ახორციელებს.

ულამაზეს მესტიაჭალაში ჰესების მშენებლობა 2017 წლის ზაფხულში დაიწყო, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 65 მლნ აშშ დოლარია, მშენებლობა 2018 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც ჰიდროელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 50 მგვტ იქნება.

ბოლო ცხრა თვის განმავლობაში მშენებლობა სულ მცირე სამჯერ გაჩერდა. ორჯერ სამშენებლო მოედანი წყალდიდობამ დააზიანა (ივლისი, სექტემბერი), წყალმა მშენებელი კომპანიის ტექნიკა წაიღო და მოწყობილი ინფრასტრუქტურა დაანგრია, დეკემბერში კი მშენებლებს გზა უკვე ადგილობრივებმა გადაუკეტეს იმ მოტივით, რომ ზემო სვანეთის უნიკალურ ბუნებას გამოუსწორებელი ზიანი ადგება.

გუშინწინ მესტიის ცენტრში სვანეთში ჰესების მშენებლობის აკრძალვის გადაწყვეტილება უკვე საერთო სასვანეთო კრება — ლალხორზე მიიღეს, რომელზეც სვანეთის ყველა თემის წარმომადგენელი იყო მისული.

„სვანეთის ახალგაზრდული მოძრაობის“ წევრმა დათო გულბანმა ლალხორზე გაანცხადა, რომ „მესტიაჭალა ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია კომპანია „გამა კონსალტინგის“ მიერ, იმავე კომპანიის მიერ, რომელმაც „ლარსი ჰესის“ შეფასებაც გააკეთა და დაწერა, რომ „ლარსი ჰესის ოპერირების პროცესში საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი მინიმალურია“.

მდინარე თერგზე 2014 წელს გახსნილი „ლარსი ჰესი“ ღვარცოფმა ზედიზედ სამჯერ დაანგრია და ათზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. „ლარსი ჰესი“ 2016 წლის შემდეგ გაჩერებულია. დათო გულბანი ამბობს: რამდენჯერმე ვკითხე „მესტიაჭალა ჰესის“ მშენებლებს, რატომ უნდა ვენდო „გამა კონსალტინგის“ მომზადებულ შეფასებებს მესტიაში, როცა „გამას“ სხვა არაერთ პროექტში უმძიმესი პრობლემები შეექმნა, მათ შორის, მდინარე თერგზე, „ლარსი ჰესზე“ 11 ადამიანი დაიღუპა და კაციშვილმა პასუხი არ აგო ?!“

დათო გულბანი, „სვანეთის ახალგაზრდული მოძრაობის“ აქტივისტი:

შეხედეთ, რას დაამსგავსეს მესტიაჭალას უნიკალური ხეობა, სამშენებლო პოლიგონად გადააქციეს, გადათხარეს, გადაჯეგეს ყველაფერი. პირდაპირ გეკითხებით, არის თუ არა ამ ნგრევის შედეგი ის, რომ ზემოთ მჟავე წყლები უკვე დაშრა?! ანუ დღეს თუ ვხედავთ, რა მოაქვს ამ მშენებლობას, წარმოგიდგენიათ, მერე და მერე ეს ყველაფერი რას გამოიწვევს?!“

სვანურმა ლალხორმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სვანეთის მოსახლეობა „მესტიაჭალაჰესთან“ ერთად, რეგიონში ყველა დიდი ჰესის მშენებლობის წინააღმდეგია. „კატეგორიულად და საბოლოოდ ვკრძალავთ მთელ სვანეთში ჰესების მშენებლობას, ოქროს წარმოებასა და ყველა — ბუნებისთვის, ადამიანის საცხოვრისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისთვის მავნებელი, საზიანო და დამანგრეველი სამუშაოების ჩატარებას! ამიერიდან სვანეთში ჰესები აღარ აშენდება, მათ შორის: ხუდონ ჰესი, ნენსკრა ჰესი, მესტიაჭალა ჰესი და ზემო სვანეთში დაგეგმილი სხვა 50-ზე მეტ ჰესი!“ — წერია ლალხორის განცხადებაში.

ამასთან, ლალხორი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს და სვანების სვანეთის მკვიდრ მოსახლეობად აღიარებას მოითხოვს, რასაც მათთვის ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება უნდა მოჰყვეს, ხოლო საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სვანებთან შეთანხმების გარეშე, სვანეთში არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი აღარ განხორციელდეს.

მანანა სალლიანი, მესტიის მკვიდრი:

„ეს სამართლიანი მოძრაობა სვანებმა აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, ყველა ერთად უნდა დავდგეთ. მესტიაში, იქ სადაც სპორტდარბაზია, გადაიკეტება გზა მხოლოდ ჰესის მშენებელი კომპანიისთვის, სამშენებლო ტექნიკას არ გაატარებენ, ამ მშენებლობას არ დავუშვებთ, ერთხელ და სამუდამოდ სვანები ვადასტურებთ, რომ არა ჰესებს!“

დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებს სვანეთში წინ უძღოდა ანალოგიური შეკრება რაჭაშიც. **ონში მოსახლეობა მდინარე რიონზე კასკადური ტიპის ორი ჰესის: ონი-1 ჰესისა და ონი-2 ჰესის მშენებლობას აპროტესტებს, რომელთა ჯამური სიმძლავრე 206 მგვტ იქნება. პროექტს ქალაქ ონის გარდა, ზეგავლენა ექვს სოფელზე: სორზე, კომანდელზე, ხურუთზე, ლაგვანთაზე, ნაკიეთსა და გლოლაზე აქვს.**

ზაზა წულაძე

მტრის უზნეობაზე მეტად ჩვენი ხალხის უზნეობა მაწუხებს!

ჩემი ძვეყანა დაწყობილ დალაგებული, მშვიდი და მოწესრიგებული არასოდეს არ მახსოვს, თუმცა, ის კი კარგად მახსოვს საამური და ბედნიერ ცხოვრებას რომ ვუმღეროდით დიდი და პატარა... ეს სიმღერები ისეთი ლაღი იყო, წკრიალა და მშვენიერი ჰანგებით გაჯერებული, ვის შეეძლო მასში ეჭვი შეჰპარვოდა და ეთქვა ყალბი და მოჩვენებითიაო!

თავს ვიტყუებდით თუ მართლა ლაღები ვიყავით? თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, დღევანდელობასთან შედარებით, მაშინ კი შევძლებდით ლაღად სიმღერას... დღეს კი რა გვჭირს, ხალხო! გვეტირება და განა მხოლოდ გვეტირება, ლამის გულები დაგვისკდეს, დარდისაგან კი არა, იმ უსაშველოდ დიდი ღალატისა და ცბიერებისაგან, ზურგში მახვილის ჩაცემისაგან, კაცთმოძულეობისაგან, ადათების, ნამუსის, სინდისის აბუჩად აგდებისაგან, რასაც ჩვენი სამშობლოს მიწაზე კარგა ხანია დასახლებულები, ამჟამად კი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი სჩადიან! რუსები და რუსეთი! — გავიძახით. იმის იქით არ ვიყურებით.

გვახსოვს ანდაზა, ნაჯახით მოცელილმა ხემ რომ დაიჩივლა; ნაჯახი რას მომერეოდა, ჩემი ტანისაგან გამოთლილი ტარი რომ არ ამაგრებდესო! დიახ, სინამდვილეს თვალებში უნდა ჩავხედოთ და ჩვენს „ძმადნაფიც“ სეპარატისტებს რომ არ უნდოდეთ საქართველოს მიწის სათავისოდ ჩამოჭრა, სამაჩაბლოს სოფლებიდან ქართველების გატაცება, დატყვევება, წამება და რაღაც მოგონილი გამოსასყიდის წაგლეჯა ისედაც გაღარიბებული და აწიოკებული სოფლელებისთვის, გვექნებოდა კი ასეთი საშინელი სურათი, რაც დღესა გვაქვს?! ესკიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ამ დღეებში ვუყურებთ და ვითმენთ, განა მარტო ჩვენ — მთელი მსოფლიო!. ქართველი ვაჟკაცი არჩილ ტატუნაშვილი ორ თანამემამულესთან ერთად გაიტაცეს და, როცა ვაჟკაცი არჩილი მათ არ დაემორჩილა, უსამართლობას შეეწინააღმდეგა — წამებით მოკლეს! სიკვდილზე უარესი რა უნდა იყოს, მაგრამ ჩვენივ მამულის შვილებმა, წლების მანძილზე ძმად რომ ვთვლიდით და ყველაფერში — შრომაში, კულტურასა თუ ხელოვნებაში უანგაროდ გვერდში ვედექით, მაღალი მორალური ადათ-წესებით რომ თავს გვაწონებდნენ და ჩვენც პატივს ვცემდით, სასწაული რამ ჩაიდინეს: კაცი ხომ აწამეს და ისე მოკლეს, მერე ამ კაცის მშობლებს შვილის ნორმალურად დატირება არ აღირსეს...

მთელი საქართველო და მსოფლიოს საზოგადოება გაოცებული და აღშფოთებული უყურებსამ სურათს! რა არის ეს, ჩვენი გამწარება და გაღიზიანება? არა მხოლოდ! ნუ მოტყუვდებით ჩვენო „მოკეთეებო“, ეს თქვენი დაცემა და უზნეობა უფროა! ვერ ხვდებით, რომ მსოფლიოში თავი მოიჭერით, თქვენს წინაპრებს სული შეუგინეთ, მამაპაპური ადათ-წესები ფეხით გათელეთ, ტალახში ამოსვარეთ. სრული უგუნურება გამოამჟღავნეთ. განა არ უნდა იცოდეთ, რომ ომი ომია და ომის წესები სულ სხვაა, მშვიდობიანობის დროს სრულიად გამოუსადეგარი. არჩილი თუ თავისი (თქვენიც) სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ნორმალური ქვეყნები, ნორმალური ხალხები ასეთ მოვლენას პატივს სცემენ. ამის უამრავი მაგალითი ვიცით! სირცხვილი თქვენ!

ყოველდღე ჭირი და სატკივარი გვეტატება. გარეშე თუ შინაური მტერი მალულად თუ აშკარად, ურცხვად და დაუნდობლად ხან ტყვიას გვესვრის და ხან დანას გვიყრის ზურგში. ყოველდღე თითო-ოროლა კაცს ბალახივით გვთიბავენ... უჩინმაჩინიც რომ შემოგვეჩვია? — ამაზე რას ვიტყვით!. გაჭირვებული ხალხის მიერ ბანკებიდან სესხით აღებული ფულით შეკოწიწებულ ფარდულებს ცეცხლს რომ უკიდებენ, სერიული ხასიათი რომ მიიღო სავაჭრო შენობებზე წაკიდებულმა ხანძარმა... არ არის ძნელი წარმოსადგენი რა დღეში ვარდებიან დაზარალებულები, სამუშაო დაკარგეს, სიმწრით ნაშოვი გასასყიდი საქონელიც ცეცხლში ჩაეწვათ! დიდი უბედურებაა, მაგრამ კიდევ უარესია ცეცხლწაკიდებულ სასტუმროებში გამომწვარი ადამიანების ამბავი, მოსასმენადაც კი შემაძრწუნებელი! ახლა ამ მშენებარე შენობებს არ იკითხავთ? მათ დანახვაზე, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს გული უსკდება — ვაი თუ იქიდან გადმოვარდნილი ადამიანის (სულ ახალგაზრდების, მცირედის მოსაპოვებლად სამუშაოდ გამოსულების...) უბედურების მომსწრე არ გავხდეო — ისე გახშირდა ასეთი საშინელი მოვლენები... აგერ ახლახან კი, როგორ ვთქვა, ენა არ მიბრუნდება პირში — ორბელიანის მოედანზე შენობიდან გადმოვარდნილმა მინამ სკოლიდან მომავალი მოზარდის სიცოცხლე შეიწირა! რა დავარქვათ ყოველივე ამას, — უწესრიგობა, დაუცველობა თუ ყველაფერი ერთად?!

საზღვარგარეთ გაქცეულები, ანუ იგივე ემიგრანტები, მართალია, თავდაპირველად ოჯახის გამოკვებაზე ფიქრობენ, თანდათანობით და ნელ-ნელა კი, მადა ჭამაში მოდისო, რომ იტყვიან, ასე ემართებათ და არცთუ სახარბიელო შრომით დაკავებულები, მას შემდეგ, რაც ოჯახს მატერიალურად მოამაგრებენ, მერე უკვე გამდიდრებაზე ოცნებით გატაცებულებს ავიწყდებათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა და მოვალეობა სამშობლოს წინაშე (ვინ იცის, იქნებ არც არასოდეს ჰქონიათ!), და იქვე, ანუ სამშობლოს გარეთ რჩებიან. შეიძლება, პასპორტით არა, მაგრამ აზროვნებით უკვე ქართველები არ არიან... რაც მთავარია, ჩვენთან არ არიან, ჩვენთან ერთად ვერ იზიარებენ ჩვენი ქვეყნის ჭირს, ერთ ლურსმანსაც კი ვერ აჭედებენ იმ ფიცრებს სახელმწიფოს ასაშენებელ ხარაჩოსთვის რომ ვეზიდებით აქ — მშობლიურ მიწაზე დარჩენილი ქართველობის უმეტესობა, მაგრამ, რა დასამალია, რომ ამ ხარაჩოსაც თავი ვერ მოვაბით სიცოტავის, სიღარიბისა და იმ ღალატისა და შურის გამოისობით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ყველაზე სამწუხაროა გაქცეულთა მონაგარის დაკარგვა. არასოდეს დამავიწყდება ერთი ემიგრანტი ქალბატონის პასუხი შეკითხვაზე: შვილებს ქართველებად თუ ზრდით და თუ ჩამოიყვანთ სამშობლოშიო. პასუხი მეტად სავალალო აღმოჩნდა. — იქ დაიბადნენ, იქ გაიზარდნენ, იქა ჰყავთ ადგილობრივების სახით სამეგობრო და მათთვის ისეთივე მძიმე იქნება „სამშობლოს“ დაკარგვა, როგორც ეს ჩემთვის აღმოჩნდაო. ამ „რკინისებურმა ლოგიკამ“ შემაძრწუნა, მაგრამ რას გახდები...

ახლა საინტერესოა რა და როგორი ფსიქოლოგია უვითარდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც დიდი „ღვაწლის“ შემდეგ ზედა ეშელონებში (პარლამენტში და სხვა,) ხვდებიან. პარლამენტი მათ რაიმე ახალ ფსიქოლოგიას კი არ უვითარებს, არამედ, როგორც, საქმიდან ჩანს, თავდაპირველადვე არის მათში ჩადებული ის მიზანი, რასაც არჩევნების წინ საზოგადოებას საგანგებოდ უმალავენ — თავს მამულისა და ხალხისთვის თავგადაკლულ პირებად წარმოუჩენენ. რას არ ჰპირდებიან ამომრჩევლებს, ოღონდ არჩეულები აღმოჩნდნენ, ოღონდ ამა თუ იმ უბნისა და ქალაქის დეპუტატი გახდნენ!. საბოლოოდ ირკვევა მათი მიზანი: — ძალაუფლების მოპოვება, დიდი ხელფასები და გამდიდრება. მათ უსაზღვროდ გაზრდილ ხელფასებზე საზოგადოება კარგა ხანია, ალაპარაკებულია (ილაპარაკონ რამდენიც უნდათ — „ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის“.)! რა გულუბრყვილოები ვართ, რატომ ვენდობით და უმაღლეს ეშელონებში ვირჩევთ მათ, რატომ გვგონია, რომ ისინი გვიპატრონებენ და რატომ ვტყუვდებით ერთხელ და ორჯერ კი არა, სულ, სულ!..

აი, აქ არის საიდუმლოება: რატომ ვერ ვხვდებით რაშია საქმე, რატომ ვერ ვაკონტროლებთ მათაც და საკუთარ თავსაც!, ... ალბათ, იმიტომ, რომ ერთ დროს ისინიც ხალხის ნაწილი იყვნენ, ხალხის გვერდით ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ... მახსოვს, ჩემს ბავშვობაში მამა წუხდა თავის მეგობარზე: უმუშევრად ყოფნის დროს ერთ მაღაზიას პურის გადმოტვირთვაში ეხმარებოდა, დიდი სატვირთო მანქანით მოტანილ პურს გადმოტვირთავდა ხოლმე მარტო. ბოლოს მაღაზიის გამგე სამადლობლად ერთი პურით ასაჩუქრებდა. უჭირდა ძალიან, და რა ექნა! ბოლოს მოახერხა, პარტიაში შევიდა და სადღაც კადრების განყოფილების უფროსიც გახდა, რის შემდეგაც სავსებით შეიცვალა ხასიათი. ვერ მცნობსო, მამა იტყოდა. დიახ! კაცის ფსიქოლოგიაშიც არის გარდაქმნის ამოუცნობი მიზეზი. ბევრი ჩვენგანის ხასიათი ვითარების მიხედვით ცვალებადობს. ადამიანის ადამიანობა მხოლოდ გაჭირვებაში როდი მჟღავნდება, არც დალხინებაში. თანამდებობა, ფული და სიმდიდრე რადიკალურად ცვლის უმეტესობას! ამის წინასწარ განსაზღვრა ძალიან ძნელია! ასე რომ არ იყოს, მაშინ დღევანდელ პარლამენტართა და რბილ სკამებში მოკალათებულთა სხვაგვარი სურათი გვექნებოდა.

მთელი ჩვენი ცხოვრება დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე ვოცნებობდით. ხომ ავიხდინეთ ეს ოცნება, ხომ ვართ ჩვენი ქვეყნის პატრონები, ჰოდა, ახლა მივდგეთ და მოვდგეთ, ვაშენოთ სახელმწიფო, გავამაგროთ საძირკველი!

წერილი იმ დიდი ტკივილით დავიწყე, რომელიც უპასუხისმგებლო, უსირცხვილო, უზნეო ადამიანებმა, ჩვენმა აღიარებულმა მტრებმა და სეპარატისტებმა მოგვაყენეს. სადისტები ყველგან არიან, მაგრამ, ჩვენ რა შეგვიძლია ყველა მშვიდობისმოყვარე ცივილიზებულ ხალხთან სოლიდარობის მეტი. მე ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი მიყვარს და მათგან ღალატს და უზნეობას ვერაფრით ვერ დავფარავ. დავფარავ კი არადა, ზნედაცემულ მტრის საქციელზე უფრო მეტად ჩემი სისხლის და ხორცის უზნეობა და მავნებლობა მტკივა და მაწუხებს... აი, ამაზე გესაუბრებოდით, ძვირფასო მკითხველებო!

გულნარა სტურუა

„ქალი და მიგრაცია“

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მხარდაჭერითა და პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის კომიტეტის ორგანიზებით, კონფერენცია „ქალი და მიგრაცია“ გაიმართა, რომლის მიზანიც ქართულ ემიგრაციასთან კონტაქტების გაღრმავება და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე ქალბატონების ღვაწლის დაფასებაა. როგორც „ქართული ლუდის კომპანიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ხათუნა მიქაცაძე აცხადებს, შორს არ არის ის დრო, როდესაც თითოეული ქართველი ემიგრანტები უცხოეთში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას საქართველოს მოახმარს. „ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი ჩვენი თანამემამულე აიძულა უცხოეთში გადახვეწილიყო, რათა საკუთარი თავის, ოჯახისა და ახლობლების რჩენა შეძლებოდა. ასე უვადოდ და განუსაზღვრელად აიღეს საკუთარ თავზე უმძიმესი ტვირთი უდიდესი ტკივილით, საკუთარი მიწა წყლის, სახლ-კარის, ოჯახისა და ახლობლებს მონატრებულმა. ძნელია უცხო ქვეყანაში, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილებმა, მშობლის და შვილების სუნთქვამონატრებულმა, თავი დაიმკვიდრო. კიდევ უფრო ძნელია, წარმატებას მიაღწიო და სხვა მზის მომზირალმა შენს სამშობლოზე იზრუნო მაინც. მტკივა და ვამაყობ თითოეული მათგანით. იმედი მაქვს დაგვიდგება ის დრო როცა ერთ მშვენიერ დღეს, ყველა მათგანი უცხოეთში მიღებულ ცოდნას ჩვენს სამშობლოს, საქართველოს მოახმარს“, — აცხადებს ხათუნა მიქაცაძე.

დიასპორისა და კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარემ, ზვიად კვაჭანტირაძემ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ საქართველოდან გასული და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე ქალბატონების რაოდენობა არც თუ მცირეა. ბევრ ქვეყანაში ემიგრანტი ქალბატონები ჩართული არიან ადგილობრივ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ორმხრივი ურთიერთობებისა და სახალხო დიპლომატიის გაძლიერებისა და განვითარების საქმესაც აქტიურად უძღვებიან. „ძალიან დასაფასებელია, რომ მათი მზერა ყოველთვის მიპყრობილია საქართველოსკენ და მათი წარმატება ჩვენი, ყველას წარმატებაა“, — განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

◎ გილოცავთ!

თანამედროვე პედაგოგიკის მეტრი

ბატონო შალვა, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას და იმ ზღაპრულ სამყაროში, რომელსაც ჰუმანური პედაგოგიკა ჰქვია, ჰუმანისტ მასწავლებლებთან ერთად დაუსრულებელი გზის გაგრძელებას.

ჩვენ, პირველი ექსპერიმენტული საჯარო – სიყვარულის სკოლის მასწავლებლები მადლობას გიხდით ორმოცდაათი წლის თანამშრომლობისათვის, იმისთვის, რომ გვასწავლიდით მასწავლებლობას.

რამდენიმე წლის წინათ ჰუმანური პედაგოგიკის ერთ-ერთ საერთაშორისო სემინარზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, ჩვენგან ძალიან შორს მდებარე ქვეყნიდან ჩამოსულმა უცხოელმა სტუმარმა გვითხრა, თქვენ, ალბათ, ჯერ კიდევ კარგად გაცნობიერებული არ გაქვთ ის, თუ რაოდენ ბედნიერები ხართ, რომ შესაძლებლობა გაქვთ, შალვა ამოანაშვილი იხილოთ პირადად, ნახოთ, ესაუბროთ და რჩევები მიიღოთ მისგან...

დიახ, თქვენ ბრძანდებით XX საუკუნის მეორე ნახევრის და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ერთ-ერთი დიდი, ბრძენი ადამიანი, ხოლო როგორც პედაგოგი თანამედროვეობის პედაგოგიკის მეტრი, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბის მქონე.

ბედნიერები ვართ, რომ გვაქვს თქვენთან ურთიერთობა, ხართ ჩვენი მოძღვარი.

გვინდა, დიდხანს, დიდხანს იცოცხლოთ, კვლავ უდიდესი ბედნიერება მიანიჭოთ თქვენს აურაცხელ თაყვანისმცემლებს.

ღმერთმა დაგლოცოთ, ბატონო შალვა!

პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის პედაგოგები.

◎ პოეზია და ისტორია

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ ივანე მენთეშაშვილთან შეხვედრაზე გიწვევთ

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ (პრეზიდენტი – ვალერი ასათიანი) აქტიურად აგრძელებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ქართული კულტურის პროპაგანდას, ხელოვნების მოღვაწეთა, მეცნიერთა პოპულარიზაციას. მოგეხსენებათ, ასოციაციამ გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო ტრეინინგული ხასიათის მრავალპლანიანი ლექცია-სემინარების სერია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. დიპლომატიის ისტორიის ჩანახატებისადმი მიძღვნილი დისკუსიათა იმ ციკლის (სახელწოდებით „კაცობრიობა, ძალაუფლება, ისტორიის გაკვეთილები“) მთავარი გმირი იყო ცნობილი ისტორიკოსი, მთარგმნელი, პროფესორი, „ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების“ წევრი ივანე მენთეშაშვილი.

ივანე მენთეშაშვილი.

ივანე მენთეშაშვილი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, „ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების“ წევრი. მისი სამეცნიერო კვლევისა და სალექციო საქმიანობის სფეროა მსოფლიო ისტორია, კერძოდ, მისი ახალი და უახლესი მონაკვეთი. ივანე მენთეშაშვილი 11 მონოგრაფიისა და 11 სტატიის ავტორია, რომლებიც ეხება ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობებს კავკასიაში, ინგლისური ოსტ-ინდოეთის კამპანიის ბატონობას ინდოეთში, ელიზაბეთ I ტიუდორის მეფობას, ფოლკლენდის კუნძულების ომს, საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას, ნაპოლეონს, ნაპოლეონის აღზევებას, მისი სამხედრო-პოლიტიკური ეპოპეის ცალკეულ მხარეებს, ნაპოლეონის პიროვნების წარმოჩენას დასავლეთევროპულ და რუსულ პოეზიაში, კარდინალ რიშელიეს. აღნიშნული ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე საქართველოში, რუსეთში, კანადასა და აშშ-ში. 2000-2015 წლებში იგი მონაწილეობდა ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების ხუთ კონგრესში: საქართველოში, კანადაში, ჰოლანდიაში, რუსეთში, ბელგიაში; ასევე არის სხვადასხვა პროექტების ავტორი და მონაწილე. ივანე მენთეშაშვილი ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ივანე მენთეშაშვილი ასევე წარმატებით ეწევა სათარჯიმნო საქმიანობას: საერთაშორსო კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების სინქრონული და თანამიმდევრობითი თარგმნით უზრუნველყოფა, რომლებიც გამართულა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გაერო-ს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატო-ს, ეუთო-ს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, აშშ-ის თავდაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროების, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ საქართველოში, ბრიუსელში, მონსში, ჰაეაგაში, ათენში, სტრასბურგში, სტოკჰოლმში, ანკარაში, რომში, ფლორენციაში, სან-მარინოში, ასტანაში, ანტალიაში, ბონში, ესენში, დიუსელდორფში, ერევანში, სტებანავანში, გიუმრიში, კიევში.

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ კიდევ ერთხელ გიწვევთ შეხვედრაზე ივანე მენთეშაშვილთან. ამჯერად ბატონი ივანე აუდიტორიას ესაუბრება პოეზიისა და ისტორიის ურთიერთშეხებაზე. მოხსენებასთან ერთად წარმოადგენს ჯორჯ ბაირონის, რადიარდ კიპლინგის, ოსკარ უაილდის, მიხეილ ლერმონტოვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას მისეულ თარგმანებს. შეხვედრა გაიმართება შაბათს, 10 მარტს, 18 საათზე, „წიგნის სახლში ბახტრიონზე“ (მისამართი: ბახტრიონის ქ. 11 ბ). დასწრება თავისუფალია.

ლექცია-სემინარების კურსის, შემოქმედებითი შეხვედრების გამართვაში ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს პარტნიორები არიან: ბადიაურის აგროსამრეწველო სავაჭრო კომპლექსი, კაფე-გალერეა „წიგნის სახლი ბახტრიონზე“, საქართველოს კულტურის ფონდი, რესტორანი „თბილისის მუხამბაზი“, საინფორმაციო მხარდამჭერები: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, TV პირველი, მედია ჰოლდინგი „რეპორტიორი“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

„წიგნიერი“ რეგიონებს ეწვევა

ეროვნული ბიბლიოთეკის ესეების კონკურსი „წიგნიერი“ „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით წელს რეგიონებშიც ჩატარდება. 23 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი „წიგნიერი“ წელს უკვე მეოთხედ ტარდება და ელექტრონული წიგნების სახლის „საბასა“ და „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით პირველად გასცდება თბილისის ფარგლებს.

კონკურსში, რომლის მიზანი სკოლის მოსწავლეებში კითხვის პოპულარიზაციაა, X და XI კლასის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას. მათ სამი შერჩეული ცნობილი ნაწარმოების მიხედვით კონკურსის დღეს ესეს დაწერა დაევალებათ. წელს კონკურსისთვის სამი ნაწარმოები – კნუტ ჰამსუნის „შიმშილი“, ალბერ კამიუს „დაცემა“, და გურამ რჩეულიშვილის „შპილკა“ შეირჩა. მოსწავლეებმა აღნიშნული წიგნები წინასწარ უნდა წაიკითხონ. ესეს სათაური კონკურსანტებისთვის წერის დღეს გახდება ცნობილი.

„თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით კონკურსი პირველად ასევე რეგიონებში – ქუთაისსა და ამბროლაურში ჩატარდება. მასში მონაწილეობის მიღების საშუალება ექნება ნებისმიერ მსურველს, რომელიც კონკურსის პირობებს დააკმაყოფილებს. კონკურსში მონაწილეობისთვის საჭიროა, მსურველებმა 16 აპრილამდე შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა.

◎ დავიცვათ ქართული ენა!

ცვლილებები რეკლამის კანონში

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის საჯარიმო სანქციების გამკაცრება იგეგმება. თბილისის მერიაში უკვე დაიწყეს მუშაობა კანონში შესატან ცვლილებებზე.

რეკლამის შესახებ კანონის თანახმად:

- **საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო, სურვილის შემთხვევაში, სხვა ენაზეც.**
- **უცხოენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას.**

გასულ კვირას ქალაქის მერმა კახა კალაძემ ახვლედიანის ქუჩის დათვალიერების შემდეგ რეკლამის შესახებ კანონზე ისაუბრა – აღნიშნა, რომ ფასადებზე არაქართულენოვანი წარწერების გამოყენება სერიოზული პრობლემაა.

„დავავალე ზედამხედველობის სამსახურს, რომ დაიწყოს მითითებები, მისცენ გონივრული ვადა შენობების მესაკუთრეს, რომ წარწერები ქართულად გაკეთდეს. ჩვენ არავის არ ვეწინააღმდეგებით, არავის ვერჩით, ყველას აქვს საშუალება, ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, განახორციელოს ბიზნესი კანონის ფარგლებში, მაგრამ ქართულ ენას უნდა ვცეთ პატივი“, – თქვა კახა კალაძემ.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი ამბობს, რომ მითითებების შემდეგ ახვლედიანის ქუჩაზე ხუთი ობიექტი დაჯარიმდა, იანვარ-თებერვალში, დაახლოებით, 200-მდე ობიექტმა მიიღო გაფრთხილება, მათგან ოცდახუთს კი ფულადი სანქცია დაეკისრა.

გიორგი ბაგრატიონი: „კანონდარღვევის შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები



ადგენენ ოქმს და შემდეგ სასამართლო წყვეტს, დაჯარიმოს თუ არა ობიექტი. იმისთვის, რომ უფრო ეფექტიანები გავხდეთ, ვმუშაობთ ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, ფულადი ჯარიმებიც გაიზრდება და თავად ზედამხედველობის თანამშრომლები შეძლებენ დამრღვევის დაჯარიმებას“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა მიიჩნევს, რომ პრობლემა კანონის აღსრულებაშია: **„მაგალითად, როდესაც საკრებულოში ვიყავი ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე, მარტივად გადავწყვიტე ეს საკითხი: 30-40 კომპანიას შევხვდით საკრებულოში, ავუხსენით ვითარება და თბილისში თითქმის ასი პროცენტი შეიცვალა ქართულენოვანი ან ორენოვანი აბრებით.**

2014 წლის შემდგომ ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. ნელ-ნელა ვხედავ, რომ წარწერების 70-80 პროცენტი ისევ არაქართულმა წარწერებმა ჩაანაცვლა. კანონის ცვლილება ცუდი არ არის, მაგრამ ყველა საკითხზე კანონპროექტში ცვლილების შეტანას აჯობებს, პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღონ“.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის გიორგი ბაგრატიონის თქმით, ისინი მთავრობას ამ დღეებში წარუდგენენ ცვლილების ტექსტს და შემდეგ უფრო ადვილად შეძლებენ საკითხის მოგვარებას.

ანა გურდული



„საჩუქრები“ – 50 ათასი დოლარი კვირიკაშვილს, 120 ათასი დოლარი – მათიკაშვილს, 100 ათასი ლარი – წილოსანს, 12 900 დოლარი – სესიაშვილს...

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგს აგრძელებს.

ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ მიღებულმა საჩუქრებმა. მაღალჩინოსნების მიერ ფულადი საჩუქრების მიღება გარკვეულ კორუფციულ რისკებთანაა დაკავშირებული, რის გამოც საჯარო სამსახურის ბიურომ თითოეული ასეთი შემთხვევა უნდა შეისწავლოს.

ქონებრივი დეკლარაციების სისტემის არსებობა ორ ძირითად მიზანს ემსახურება: თანამდებობის პირთა უკანონო გამდიდრების პრევენციას და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების გამოვლენას. ამ მიზნებიდან გამომდინარე, კანონი მთელ რიგ შეზღუდვებს ადგენს თანამდებობის პირებისთვის: მაგალითად, მათ ეკრძალებათ საჯარო სამსახურის პარალელურად რაიმე თანამდებობის დაკავება, ან ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება კერძო სექტორში, ასევე ისეთი საჩუქრის მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებაზე ან რომლის ღირებულება მათი წლიური ხელფასის 5%-ს აღემატება. მსგავსი შეზღუდვები მოქმედებს თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებისთვისაც. ამავე დროს, თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ქონებრივ დეკლარაციაში შეიტანონ მათი ან მათი ოჯახის წევრის მიერ მიღებული ნებისმიერი საჩუქარი, რომლის ღირებულება 500 ლარს აღემატება.

არსებული შეზღუდვები არ ვრცელდება თანამდებობის პირების მიერ ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავებისგან მიღებულ საჩუქრებზე. თავისთავად ეს გამონაკლისი გონივრული და გამართლებული შეიძლება იყოს, თუმცა ამავე დროს არსებობს საფრთხე, რომ (სათანადო ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში) ეს გამონაკლისი კანონის „ხვრელად“ გადაიქცეს, რომელსაც არაკეთილსინდისიერი მოხელეები კანონით აკრძალული შემოსავლის დამალვის ან „გათეთრებისთვის“ გამოიყენებენ – ანუ არაჯეროვანი შემოსავლის დეკლარირება მოხდება, როგორც ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქრისა.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ შემთხვევაში, როცა საჯარო მოსამსახურის მიერ მსხვილი საჩუქრის (დიდი ოდენობით თანხის ან მაღალი ღირებულების ქონება-მომსახურების) დეკლარირება ხდება, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ფარგლებში მოხდეს ასეთი ტრანზაქციის გადამოწმება იმის დასადგენად, ხომ არ აქვს ადგილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზების მცდელობას.

დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2018 წლის „06 მარტის“
№ 01-01-3/103 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჯინისწყალი	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	200 000 m^3/წელიწადში	2 284.00	700,00
2	ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური,აკაკი შანიძის N14	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	54 750 m^3/წელიწადში	625,00	400,00
3	ქ.ბათუმი, კოწია ერისთავის ქ.N25	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	100 000 m^3/წელიწადში	1 142,00	500,00
4	ქ.ბათუმი, კოწია ერისთავის ქ.N18	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	36 500 m^3/წელიწადში	417,00	300,00
5	ქ.ბათუმი, ფრიდონ	მიწისქვეშა მტკნარი	P	3 წელი	2 190	25,00	205,00
	ხალვაშის გამზირი,ჩიხიN4,სახლიN1	წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით			m^3/ წელიწადში		
6	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილიN23	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	7 300 m^3/ წელიწადში	84,00	250,00
7	ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N109	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 800 m^3/ წელიწადში	21,00	215,00
8	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ.N26	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 m^3/ წელიწადში	21,00	210,00
9	ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური,მემედ აბაშიძის ქ.N25	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	20 000 m^3/ წელიწადში	229,00	300,00
10	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნამლისევი	წყაროს წყალის მოპოვება ჩამოსხმის მიზნით	P	5 წელი	60 m^3/წელიწადში	10 000,00	2 200,00

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვიდეოჯარიმების ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნება დაიწყო

ШИНАГАН საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესის შესაბამისად, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – **police.ge** ვიდეოჯარიმის ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება დაიწყო.

საჯარიმო ქვითარი police.ge-ზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს დაჯარიმებული პირისთვის ჩაბარებულად ითვლება.

2017 წლის 1 ნოემბერს ამოქმედებული რეგულაციის თანახმად: სამართალდამრღვევს დაჯარიმებისთანავე დარღვევის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეცნობება;

საგზაო უსაფრთხოების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ვიდეოჯარიმის შესახებ ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) საშუალებით მიღების შემდეგ, ჯარიმის 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, პირი სარგებლობს 20%-იანი შეღავათით;

თუ პირი ვიდეოჯარიმას მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მას ფოსტის მეშვეობით გაეგზავნება;

ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება;

საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.police.ge;

საჯარიმო ქვითარი გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს შესაბამისი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა;

ვიდეო ან ფოტოფირზე აღბეჭდილი სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმა მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. გადაუხდე-

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას;
	თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 09 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 10 აპრილს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 10 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 10 აპრილს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ლობის შემთხვევაში მას დაერიცხება საურავი, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში – ამოქმედდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იძულებითი აღსრულების წესი;

ვიდეოფირსა და ფოტოფირზე აღბეჭდილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა 1 წლამდე გაიზარდა.

მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მომსახურება მიიღოს ბანკების, სწრაფი გადახდის აპარატების და მომსახურების სააგენტოს აპლიკაციის საშუალებით;

აღსანიშნავია, რომ ფოტო ან ვიდეოფირზე აღბეჭდილ ჯარიმებზე ქულათა კლების სისტემა არ ვრცელდება.

ამ რეგულაციის თანახმად, ვიდეოდაჯარიმების სისტემას შიდა სატრანზიტო სანომრე ნიშნით მოძრავი ავტომობილებიც დაექვემდებარა. მათზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრები, ასევე გამოქვეყნდება police.ge-ზე.

ქიტოშვილი მოსამართლემ დარბაზიდან გაათავისუფლა

თელავის რაიონულმა სასამართლომ საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებული 25 წლის დიმიტრი ქიტოშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. საქმის არსებითი განხილვა 30 მარტს ჩაინიშნა. ქიტოშვილს ამ დროისთვის ადვოკატი არ ჰყავს, ის საკუთარ ინეტერესებს თავად იცავს.

პროცესზე ქიტოშვილმა სხდომის დახურვის შუამდგომლობა დააყენა თუმცა მოსამართლემ ის არ დააკმაყოფილა რის შემდეგაც სხდომა გადაიდო. ქიტოშვილი საპატრულო პოლიციას ძალის გადამეტებაში ადანაშაულებს. თუმცა შსს-ში აცხადებენ რომ პატრულ-ინსპექტორები კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ და პროპორციული ძალა გამოიყენეს. ქიტოშვილის მეგობრები კი პირად საუბრებში აცხადებენ რომ პატრულმა მისი დაკავებისას ძალას გადაამეტა და მათთვის უცნობია, საერთოდ, რატომ მოხდა ქიტოშვილის დაკავება. ქიტოშვილი საპატრულო პოლიციამ გვიან ღამით დააკავა. სამინისტროში კი აცხადებენ რომ არაერთგზის მოწოდებისა, რომ ის წასულიყო და დამჯდარიყო მანქანაში, არ ემორჩილებოდა პატრულ-ინსპექტორის კანონიერ მოთხოვნებს. ამის შემდეგ მათ ის დააკავეს. ვინაიდან ადმინისტრაციული წესით დაკავება 12 საათზე მეტი არ შეიძლება, ქიტოშვილი მოსამართლემ გაათავისუფლა.

მოზარდების მკვლელობის საქმეში ერთ-ერთმა მოწმემ ჩვენება შეცვალა

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, რომ საქმის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა მოწმემ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება შეცვალა.

„მიმდინარეობს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოწმის დაკითხვა. ბრალდების მხარემ მოწმის პირდაპირი წესით დაკითხვა დაასრულა. ამის შემდეგ დაცვის მხარე დავიწყებთ მოწმის ჯვარედინი წესით დაკითხვას. ამ მოწმემ სასამართლოს მიაწოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუ როგორ დაიწყო კონფლიქტი, როგორ გაგრძელდა, როგორ დასრულდა. გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით მან არსებითად და აბსოლუტურად შეცვალა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება. მან ისაუბრა ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება იმ ფაქტებს, რაზეც საუბარია გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში. ის არაერთხელ არის დაკითხული და ფაქტობრივად ყველა ჩვენებას ეწინააღმდეგება სასამართლოში მიცემული ჩვენება“, — განაცხადა კაკაბაძემ.

ოზურგეთის აგრარულ ბაზარში ხანძარი გაჩნდა

არსებული ინფორმაციით ცეცხლი მონადირეთა მაღაზიას მოედო. თვითმხილველის ინფორმაციით მაღაზიაში აფეთქების ხმა იყო, რასაც ძლიერი ხანძარი მოჰყვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, აღნიშნული მაღაზია სრულადაა დამწვარი, მეპატრონე კი, დაშავებულია. მას სახის დამწვრობა აქვს მიღებული.

ადგილზე იმყოფება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, საპატრულო პოლიცია, სახანძრო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები, რომლებმაც დაშავებულს პირველადი დახმარება გაუწიეს. ხანძარი ლოკალიზებულია.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

დათვურ მოტივებზე

3 მარტს ესპანეთის 23:10 დამარცხების შემდეგ „ბორჯღალოსნებმა“ ერთი დღე დაისვენეს და ორშაბათიდან „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ვარჯიში განაახლეს.

2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ტურში მილთონ ჰეიგის შეგირდები კრასნოდარში „დათვებად“ წოდებულ რუსეთის ნაკრებს შეერკინებიან. ეს ამ გუნდების 22-ე დაპირისპირებაა და ურთიერთშეხვედრებში ქართველები დიდი უპირატესობით ლიდერობენ.

რუსებმა მხოლოდ ერთადერთი მატჩი მოიგეს – შორეულ 1993 წელს სოპოტში (პოლონეთი). მას შემდეგ ერთხელ - 2002 წელს თბილისში ფრეს დასჯერდნენ, დანარჩენ 19 შემთხვევაში კი გამარჯვება „ბორჯღალოსნებს“ დარჩათ.

განვლილი 21 შეხვედრიდან 11 საქართველოში გაიმართა, 7 – რუსეთში, ხოლო სამი – ნეიტრალურ მოედანზე. ქართველებს მეტოქე ზედიზედ 16-ჯერ ჰყავთ დამარცხებული, აქედან 3-ჯერ – კრასნოდარში, ქალაქში, სადაც მომავალი ბრძოლა გაიმართება.

იქ „დათვებმა“ პირველად 2001 წელს გვიმასპინძლეს და 23:25 დამარცხდნენ, 2003 წელს – 17:23, ხოლო 2004 წელს – 15:27. მას შემდეგ რუსებმა მასპინძელი ქალაქი ორჯერ შეცვალეს, თუმცა შედეგი უცვლელი დარჩა და კრასნოდარს 14-წლიანი შესვენების შემდეგ ვუბრუნდებით.

მეტოქე გასვლით შეხვედრებში ყველაზე დიდი სხვაობით 2016 წელს სოჭში დაგვიმარცხებია – 24:7; ურთიერთშეხვედრების ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობა 2012 წელს თბილისში დაფიქსირდა – 46:0; სულ მეტოქეს გავუტანეთ 59 ლელო და მივიღეთ 16, ხოლო ქულათა ბალანსი 528:245-ზეა.

„ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბმა მომავალი თამაშისთვის გაფართოებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა.

„სტად ფრანსეს“ ბურჯ ზურაბ ჟვანიას ნაცვლად მან შეკრებაზე „ბრივის“ ბურჯ კარლენ ასიეშვილს უხმეს, რომლის ანგარიშზეც 29 კეპი და 3 ლელოა. მან ნაკრების კვართით ბოლოს შარშან ნოემბერში უელსის წინააღმდეგ იასპარეზა. მწვრთნელებს მისი გამოძახება ესპანეთთან მატჩისთვისაც სურდათ, თუმცა, ფრანგული კლუბის თხოვნა გაითვალისწინეს და კახა ერთი კვირით „ბრივს“ დაუთმეს.

2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე თამაშს გუნდები განსხვავებულ სიტუაციაში ხვდებიან. „ბორჯღალოსნებმა“ სამივე შეხვედრა მოიგეს, აქედან ორი – ბონუსით – ბელგიასთან 47:0 და გერმანიასთან – 64:0, ხოლო 3 მარტს ესპანეთს 23:10 სძლიეს.

„დათვები“ 2019 წლის მსოფლიო თასის საგზურისთვისაც იბრძოდნენ, მაგრამ ორივე კონკურენტთან დამარცხდნენ და ფლეი-ოფში გასვლის შანსიც დაკარგეს. პირველ ტურში მათ ესპანეთი მიიღეს და 13:20 წააგეს, 17 თებერვალს ბელგია 48:7 დაამარცხეს, ხოლო გასულ შაბათს რუმინელებს დასკვნით 20 წუთში ვერ გაუძლეს, 15:15-ის შემდეგ 10 უპასუხო ქულა მიიღეს და 15:25 წააგეს.

ამრიგად, მე-4 ტურის წინ საქართველო სატურნირო ცხრილში 14 ქულით ლიდერობს. მას 5 ქულით ჩამორჩება რუმინეთი, 6-ით – ესპანეთი, ხოლო რუსეთს 6 ქულა აქვს და მე-4 პოზიციაზეა. ბელგია 5 ქულით მე-5 ადგილზეა, გერმანია კი ჯერაც უქულოდაა.

მსოფლიო თასის შესარჩევ ცხრილში, სადაც რაგბი ევროპის ჩემპიონატის ორი წლის შედეგები ითვლება (საქართველოსთან გამართული მატჩების გამოკლებით), რუმინეთი 7 თამაშიდან 24 ქულით პირველ ადგილზეა. მას 3 ქულით ჩამორჩება ესპანეთი, რომელსაც ერთი შეხვედრა რეზერვში აქვს, ხოლო რუსეთმა 7 მატჩიდან მხოლოდ 3 მოიგო, 15 ქულა აქვს და ლიდერებს ვეღარ დაეწევა.

ამრიგად, „დათვებს“ მიზნად რაგბი ევროპაზე მაქსიმალურად მაღალი ადგილის დაკავება დარჩათ და „ბორჯღალოსნებთან“ წარუმატებელი სერიის შეწყვეტას მაქსიმალურად ეცდებიან, მაგრამ სტუმრებს რუსებთან მე-20 გამარჯვების მოპოვება და რაგბი ევროპის თასის დაბრუნება სწყურიათ!

10 მარტის თამაში თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება და მისი პირდაპირი რეპორტაჟი „ტელეიმედზე“ და „რაგბი თივიზე“ იქნება.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

ვინ შეკაზმავს... მწვრთნელს?!

ერთი შეხედვით, პირველი რაუნდის 1:3 წაგება სარევანშოდ არცთუ უიმედოდ გამოიყურება – სხვა თუ არაფერი, სტუმრად გატანილი გოლი, მოგეხსენებათ, ევროტურნირების ორმატჩიანი სტრატეგიის გათვალისწინებით, საკმაოდ ძვირად ფასობს, მაგრამ...

აი, სწორედ ამ მაგრამშია ჩამარხული ძაღლის თავი, უფრო კონკრეტულად, რამდენად მზადაა საპასუხო შეხვედრის წინ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გუნდი ორბურთიანი დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი

„პარი სენ-ჟერმენი“ – „რეალი“ 1:2
(პირველი თამაში – 1:3)
გოლები: კავანი; რონალდუ, კაზემირო.

წესით და რიგით, ამბიციებმოძალებული ვარსკვლავთკრებულისთვის შეუძლებელი არაფერი უნდა იყოს, თუმცა, საამისოდ ჯერ მეტოქე უნდა გყავდეს ბოლომდე გაშიფრული და, მეორეც, საკუთარ ბანაკში გქონდეს მოგვარებული ყველა წვრილმან-მსხვილმანი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ უნაიემერი, ჟარგონის ენით, საშინაო ბრძოლის წინ ლაფათქაზე იყო შემოდებული. კერძოდ, ესპანელმა მწვრთნელმა მიუკიბ-მოუკიბავად დაადანაშაულა გულგრილობაში სამშობლოში საოპერაციოდ გამგზავრებული ნეიმარი, აქაოდა ტერფის იმ ტრავმით, რომელიც ბრაზილიელს აწუხებდა, მინდორზე გამაყუჩებლების საშუალებით გამოსვლა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდაო. დამეთანხმებით, ასეთი სიტყვების შემდეგ ძნელია გუნდურ სულისკვეთებასა და სავარაუდო ტრიუმფის საფუძვლიანობაზე ისაუბრო.

ის არგუმენტი, ფრანგულ კლუბს ლიდერი აკლდაო, ამ შემთხვევაში გამამართლებლად ვერ გამოდგება, რადგან ზინედინ ზიდანმა სათადარიგოთა სკამზე ერთბაშად ბეილი, კროოსი და მოდრიჩი დატოვა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ომის მოსაგებად ღირსეული სარდალი უნდა მიგიძღვოდეს მტრისკენ. „პსჟ“-ს ბოსებმა შარშანდელი ფიასკო, მოგეხსენებათ, აპატიეს ემერის. საინტერესოა, რა მოხდება წლეულს.

„ლივერპული“ – „პორტუ“ 0:0 (5:0).

გიორგი შოთაძე

◎ მისაბაძი მაგალითი

ქველმოქმედი ფედერერი

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან ხოსეში საქველმოქმედო „მატჩი აფრიკისთვის“ ჩატარდა, რომლის ორგანიზატორიც როჯერ ფედერერია.

იგი ამერიკელ ჯეკ სოკს დაუპირისპირდა, ხოლო წყვილებში შვეიცარიელი „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ბილ გეითსთან ერთად სოკის და ცნობილი წამყვანის სავანა გეტრის დუეტს შეხვდა.

საქველმოქმედო ღონისძიებიდან შემოსული 2 მილიონი დოლარი აფრიკელ ბავშვებს მოხმარდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ამბავი ზაირას მრუდე გზობისა

როგორც ძველნი იტყვიან: თუკი ქალმან აიშვა ყოველგვარი არტახნი და ბორკილნი და უკეთუ გულსა მისსა შეუჩნდა სურვილი პირველთა შორის უპირველესობისა, არღარაა დამკავებელი მისი და ქალი ესე დაშვრების სურვილად წაზნექვისა, ამოზნექვისა, გადმოზნექვისა და გადაზნექვისა.

ესერთ საქმესა შინა არს, მოდელი ლიშპანეთისა და აწყოფილი გულისსწორი ურუგვაელი მობურთალისა, დიეგო ფორლანაისი. ქალი ესე, რომელსაც იტყვიან ზაირა ნარად და რომელიც სიკისკასითა ცნობილ არს არამხოლოდ ქუეყანასა ლიშპანელთა, წარვიდა გზაზე მრუდისაზე და კაცნი შეიყვარა ერთღამეისადა და და ერთწამისადა.

და გარნა მხოლოდ კაცნი?! მოკალმენი პირინეისა უწყიან ამბავსა ესე, რომ ზაირამან ქმნა საქმე უცნაური, ორდეს პოზირება ჰყო ჟურნალსა ლესბოსელთასა და მისნი დამნახავნი ქალთმოყვარე ქალნი აღივსნენ დიდითა მცხუნვარეებითა და ფიქრნი მათნი არს მრუდე და ბილწი.

როსტომ რაჭველიშვილი

გამოთხოვება

ჩვენი ბელა

დროში ჩასაფრებული სიკვდილი, ალბათ, ერთადერთია, დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის დღიდან საქმეს რომ არ ილევს. შეიძლება თქმა, რომ ის მარადიულად დასაქმებულია, არასოდეს უმუშევარი არ ყოფილა და, ჩვენგან, სიკვდილისშვილებისგან განსხვავებით, არც იქნება ოდესმე სამუშაოს მაძიებელი, სანამ ყოველ ხანმოკლე ცალკეულ სიცოცხლეს აგრერიგად არ ეთმობა ეს უბარაქო წუთისოფელი.

ვინ მოთვლის, ჩვენს სიკვდილამდე რამდენ საყვარელ არსებას ვაცილებთ იმ ბნელ გაღმა სოფელში, მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანი მართლაც ქვაზე მაგარია...

აგერ ახლა კიდევ წაგვართვა სიკვდილმა კიდევ ერთ-ერთი უსაყვარლესი ადამიანი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **ანაბელა (ბელა) დურგლიშვილი,** რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე ირუდუნა ჩვენ გვერდით და მკითხველს თავი დაამახსოვრა როგორც თავისი ჩინებული ნაკალმარით, ისე მახვილგონივრული კარიკატურებით — ის ბევრისგან გამოირჩეოდა არა მარტო უებრო ნიჭიერებითა და ქალური მომხიბვლელობით, არამედ იშვიათი ბუნებათანაზიარობით და ჭეშმარიტი ადამიანობით, რასაც, დიდად სამწუხაროდ, თანდათან ვკარგავთ სიკვდილისშვილები და ვიწყებთ, რომ სიცოცხლის მთელი ეშხი სიყვარულშია.

სწორედ ამ გამორჩეულობის გამო ვეძახდით ბელა დურგლიშვილს **„ჩვენს ბელას“,** რომელმაც მართლაც ისე ღირსეულად იცხოვრა (ამიტომაც უმშვენებდა მკერდს ღირსების ორდენი), როგორც შეეფერება ქართველ მანდილოსანს. იგი, სავსე ქართული პატიოსნებით, სანიმუშო ადამიანი იყო არა მარტო როგორც მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, არამედ ასევე სანიმუშო გახლდათ როგორც თავისავით ლამაზი ოჯახის დიასახლისი, როგორც ქვეყნის სიკეთეზე მოფიქრალი დედა, რომელმაც ორი უმშვენიერესი ქალიშვილი შესძინა დასანანად არაშვილმრავალ სამშობლოს..

ჩვენი ბელას დიდ ქალობას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სამსახურისა და ოჯახის გაძღოლასთან ერთად, იგი მთელი შვიდი წელიწადი საოცარი ერთგულებით მზრუნველობდა ლოგინად ჩავარდნილ მეუღლეს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ბელა ყველა თვალსაზრისით ვალმოხდილი გადასახლდა იმ გრძელ სოფელში და ამქვეყნად დატოვა მისაბაძი ქართველქალობა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ამაყი გულისტკივილით ვაცილებთ ჩვენს საყვარელ ბელას, ამაყი გულისტკივილით იმიტომ, რომ დიდ მწუხარებასთან ერთად მან სიცოცხლითაც და სიკვდილითაც უკეთილშობილესი ადამიანური სიამაყის გრძნობა გააღვიძა ყველა ჩვენგანში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

სანთელი

ვალერი გელიაშვილი

ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ცეკვის ლეგენდარული ანსამბლის მოცეკვავეთა ძველ პლეადას კიდევ ერთი სახელოვანი წარმომადგენელი ვალერი გელიაშვილი გამოაკლდა.

ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი ანსამბლის შთამბეჭდავ წარმატებებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის 60-70-იანი წლების, ე. წ. ანსამბლის „ოქროს ხანის“ მოცეკვავეთა თაობას, რომლებიც თავისი უზადო ხელოვნებით ბრწყინავდნენ მსოფლიოს უპირველესი თეატრების სცენებზე. ვალერი გელიაშვილი სწორედ ამ დიდებული თაობის გამორჩეული წევრი იყო. მოხდენილი გარეგნობისა და ცეკვის ნიჭით დაჯილდოებული მოცეკვავე-სოლისტი წლების მანძილზე ღირსეულად წარმოაჩენდა ქართული ცეკვის მადლსა და განუმეორებელ სილამაზეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და სამართლიანად იზიარებდა ანსამბლის ტრიუმფალური წარმატებების დიდ სიხარულს.

ვალერი გელიაშვილი ლამაზი ცეკვის გარდა, პიროვნული ხიბლითაც იყო შემკული, რის გამოც პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ანსამბლის ხელმძღვანელებსა და მოცეკვავეთა შორის.

დიდ გულისტკივილს გამოვთქვამთ ჩვენი კოლეგისა და მეგობრის გარდაცვალების გამო და „სუხიშვილების“ ძველი თაობის სახელით ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და ახლობლებს. ვალერი გელიაშვილის ნათელი ხსოვნა მარადჟამს დარჩება ჩვენს გულებში.

ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, თამაზ კიკალიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ნინო კირვალიძე, იამზე დოლაბერიძე, მანანა აბაზაძე, ჯუმბერ ბერაძე, გურამ ვარდოსანიძე, ნოდარ კასრაძე, როლანდ ტატიშვილი, გივი სიხარულიძე.

ოთარ, თემურ, მანანა, ლიკა ბრეგვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალერი გელიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი 8, 9 III, არაყიშვილის ქ. №24.

გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან 10 III, 15 სთ.

საქართველოს პატრიარქი ინდოეთს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების საქართველოში ყოფნის ვადის გახანგრძლივებას სთხოვს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და ბიჭვინთა-ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების საქართველოში დარჩენის ვადის გახანგრძლივებას სთხოვს.

„ჩვენი ხალხი დიდი სიყვარულით შეხვდა თავის დედოფალს, მისი წმ. ნეშტის ნაწილების მსვლელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე გრძელდება, მაგრამ ვინაიდან ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა მრევლის მასთან მიახლებისთვის, გთხოვთ, განხილულ იქნას სიწმინდეების საქართველოში ყოფნის ვადის გაგრძელება თუნდაც ექვსი თვით“ — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოში 2017 წლის 23 სექტემბერს საპატრიარქოს, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ინდოეთიდან ჩამოაბრძანეს.

სინოდის წევრების დახურული შეხვედრა ბრიტანეთის საელჩოში

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრების, მუსლიმთა თემის, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ეკლესიისა და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ლიდერების დიდი ბრიტანეთის საელჩოში დახურული შეხვედის შესახებ ორგანიზაცია CDD — ინფორმაციას ავრცელებს.

„ბრიტანეთის საელჩოში ინტერრელიგიური ჯგუფის ვაშინგტონში ვიზიტი შეაფასეს და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ის რელიგიური ლიდერები ესწრებოდნენ, რომლებიც უშუალოდ იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეხვედრის დასრულების შემდეგ, პროექტის მონაწილეების საპატივცემულოდ მიღება გაიმართა, რომელსაც სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებას ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ჯასტინ მაკენზი სმიტმა უმასპინძლა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმთა თემის, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ეკლესიისა და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ლიდერებს შესაძლებლობა მიეცათ, სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ემოგზაურათ აშშ-ში (2017 წლის ნოემბერში), შეხვედროდნენ პოლიტიკური, აკადემიური, დიპლომატიური წრეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო ინტერრელიგიურ კონფერენციაში „დემოკრატია და რელიგია“. პროექტი განხორციელდა CDD-ს მიერ, ბრიტანეთის საელჩოსა და მმართველობის ფონდის მხარდაჭერით. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: აშშ-ს საელჩო საქართველოში, ეროვნული წვლილი დემოკრტიაში (NED), აშშ-ში საქართველოს საელჩო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“ — ნათქვამია CDD-ს ოფიციალურ პრესრელიზში.

ცოლ-ქმრის გახმაურებული მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობის ფაქტი გახსნა, რომელიც მიმდინარე წლის 14 იანვარს ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩაზე მოხდა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ნ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 14 იანვარს თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩაზე მდებარე მაღაზიაში, ნაცნობს — 1951 წელს დაბადებულ ე.ტ.-სა და მის მეუღლეს —1968 წელს დაბადებულ ი.ხ.-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ორივე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ამხილეს თაღლითები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღებისა და კომერციული მოსყიდვის ფაქტზე, ორი კომერციული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი ამხილა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში ბრალდებულმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით დაამზადა და 3 300 ლარად გაასაღა აჭარის რეგიონში არსებული ერთ-ერთი კომერციული დაწესებულების სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი ყალბი დიპლომი, ხოლო მეორე შემთხვევაში, იმერეთის რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელმა დაამზადა და 1 800 ლარად გაასაღა ოფისმენეჯერის სპეციალობის პროფესიული განათლების დამადასტურებელი ყალბი დიპლომი.

◎ ინფორმაცია

რა სიახლე ელოდებათ ტურისტებს მთიან აჭარაში?!

2018 წელს აჭარაში მთის ტურისტული პროდუქტების განვითარების მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო მაღალმთიან აჭარაში ახალი ტურისტული მარშრუტების მარკირებასა და არსებულის განვითარებას გეგმავს. შედეგად, მაღალმთიან აჭარას სამი ახალი მარკირებული ტურისტული მარშრუტი შეემატება:

ჩირუხი-ხიხანი-გოდერძის წრიული მარშრუტი;

გოდერძი-მწვანე ტბა-შავი ტბა- დანისპარაულის წრიული მარშრუტი;

ხულო- თაგო -სხალთის საფეხმავლო მარშრუტი.

პროექტის ფარგლებში მარშრუტზე განთავსდება ტურისტული დაფები და მანიშნებლები, მარშრუტში მოინიშნება ზედ არსებული ყველა ტურისტული ობიექტი, მათ შორის საოჯახო-სასტუმრო სახლები, თავშესაფრები და კვების ობიექტები. ასევე, მომზადდება ინდივიდუალური ტურისტული რუკები, რომელთა ნახვაც მოგზაურებს ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში შეეძლებათ. გასული წლის მსგავსად, სააგენტო უკვე არსებული და ახალი ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციის მიზნით გეგმავს ინფოტურებს ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებისთვის და გიდებისთვის მაღალმთიან აჭარაში. სოფლის ტურიზმის მიმართულებით საერთაშორისო მიდგომების გაცნობის მიზნით წელსაც გაიმართება სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ქართველებთან ერთად უცხოელი ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას.

საუდის არაბეთში საქართველოთი დაინტერესდნენ

საუდის არაბეთის ტურისტული კომპანიები საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალით დაინტერესდნენ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ საუდის არაბეთის ქალაქ ჯედაში საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ პრეზენტაცია მოაწყო.

საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალი არაბ ტუროპერატორებს საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წარმომადგენელმა ამირან ივანიძემ გააცნო. ღონისძიებას საუდის არაბეთის 40 წამყვანი ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო. პრეზენტაციის შემდეგ, ქართველმა ტუროპერატორებმა ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართეს და ტურები შესთავაზეს. საქართველოს ტურისტული მიმართულება საუდის არაბეთში სულ უფრო პოპულარული ხდება. სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წელს საუდის არაბეთიდან საქართველო 60 ათასამდე საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 165%-ით მეტია 2016 წელთან შედარებით.

◎ მოზაიკა

არაუმეტეს ორისა

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ყავის მოყვარულები უფრო მეტხანს ცოცხლობენ. ამ სასმლის საიდუმლო კოფეინშია, რომელიც ორგანიზმს არა მარტო სიმხნევეს მატებს, არამედ ქრონიკული ანთების დონესაც ამცირებს, რომელიც ასაკობრივი სნეულებების უმრავლესობის საფუძველს წარმოადგენს.

ყავის მოხმარებისას მთავარია ზომიერების დაცვა, სასურველი სამკურნალო ეფექტის მისაღწევად დღეში საკმარისია ორი ფინჯანის მირთმევა.

„ანტიალკოჰოლური“ გენები

არიან დიდი და მცირე ხალხები, რომელთა წარმომადგენლები ალკოჰოლს საერთოდ ვერ იტანენ.

1870-იან წლებში იაპონელებში, ჩინელებსა და კორეელებში გენების ვარიანტები აღმოაჩინეს, რომელთა გამო ალკოჰოლიანი სასმლის მიღებისას ღვიძლის ფერმენტების მიერ მისი დამუშავების შედეგად ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებები გროვდება, რაც მოწამვლას იწვევს. მაგრამ თუკი კაცი უსიამო შეგრძნებას ძლევს და მაინც სვამს, ტოქსინების მუდმივი წარმოშობის გამო მას უფრო მალე წარმოეშვება გულისა და ღვიძლის ფუნქციების მოშლა.

ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მოსახლეობა სპირტიან სასმელებს ცუდად იტანს, ევროპაში კი ამ გენის ვარიანტი იშვიათობაა. აღსანიშნავია, რომ „ანტიალკოჰოლური“ გენის მატარებლები ასევე სამხრეთ ციმბირის მოსახლეობაა — ბურიატები, ტუველები, ალტაელები და სხვ.

კოსმეტიკური ქირურგიის ტრიუმფი

პლასტიკურ ქირურგიას, მათ შორის, კოსმეტიკური მიზნებისთვის, კაცობრიობა უძველესი დროიდან ავითარებდა. მაგალითად, ცნობილია სამედიცინო ნაშრომი მიძღვნილი ცხვირის, ყურებისა და ტუჩების კორექციის საკითხებისადმი, რომელსაც ჩვენ წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში მცხოვრებ ინდოელ ექიმს სუშრუტას მიაწერენ.

თანამედროვე სამყაროში პლასტიკური ქირურგიის მეთოდები გამუდმებით იხვეწება, მასზე მოთხოვნა კი დღითი დღე იზრდება. ესთეტიკური პლასტიკური ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების მონაცემებით, 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, გარეგნობის გასაუმჯობესებლად აღნუსხული სამედიცინო პროცედურების ოდენობამ მილიონზე მეტით მოიმატა, პაციენტთა შორის კი 85,6 პროცენტი ქალები არიან.

პლასტიკური ქირურგების მომსახურებაზე მოთხოვნის ლიდერთა სამეული ასეთია: მკერდის გადიდება, ლიპოსაქცია და ბლეფაროპლასტიკა (თვალის ჭრილისა და ქუთუთოების ფორმის შეცვლა). არასაოპერაციო ჩარევის მხრივ კი ლიდერია ბოტოქსის გამაახალგაზრდავებელი ინექციები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ღიაგნოზი

— მე ამას ჩემი ჯიბესავით ვიცნობ.

— მართალი ხარ, მართალი! ეს ძალიან ცარიელი კაცია.

სასწრაფო გამოძახება

ორი მყვინთავი ზღვაში წყალქვეშ მუშაობს, უეცრად რადიოთი ერთ-ერთს სასწრაფოდ ეძახიან.

— ზემოთ გეძახიან რაც შეიძლება მალე! — ეუბნება იგი ამხანაგს.

— რა მოხდა?

— გემი, რომლიდანაც ჩამოგვიშვეს, იძირება.

პირდაპირი გზა

დიდ დაწესებულებაში კაცი მივიდა და კითხულობს:

— სად ვნახავ თქვენს დირექტორს?

ახალგაზრდა გოგონა უნებურად უხსნის:

— კორიდორს პირდაპირ გაუყევით, სანამ არ დაინახავთ აბრას: „შესვლა აკრძალულია“. ამ წარწერიან კარში შეხვალთ და გაუხვევთ მარცხნივ, დაინახავთ წარწერას — „არ შემოხვიდეთ“. სწორედ იქ ნახავთ ჩვენს დირექტორს!..

ბედ-იღბლის განაჩენი

ორი კაცი მონეტით თამაშობს.

— თუ „რეშკა“ დაჯდა, დომინოს ვთამაშობთ, — ამბობს ერთი.

— თუ „არიოლი“? — ეკითხება მეორე.

— მაშინ, საბანაოდ წავიდეთ.

— თუ მონეტა ცერად დაჯდა, რა უნდა ვქნათ?

— ბედის წინააღმდეგ ხომ არ წავალთ, ავდგეთ და მუშაობა გავაგრძელოთ.

ქანრების საკითხისთვის

ერთი წიგნიდან გადაწერა — პლაგიატი.

ორი წიგნიდან გადაწერა — კომპილაცია.

სამი წიგნიდან გადაწერა — სადოქტორო დისერტაცია.

ხუთი წიგნიდან გადაწერა — მეხუთე სამეცნიერო წიგნი.

გოლფი

ორი ხნიერი ინგლისელი გოლფს თამაშობს. ამ დროს შემოღობილი მოედნის გვერდზე სამგლოვიარო პროცესია ჩაივლის. ერთ-ერთმა მოთამაშემ ჩოგანი ძირს დადო და ქუდი მოიხადა.

— რა ხდება, რატომ შეწყვიტე თამაში? — ეკითხება მეორე.

— მაპატიეთ სერ, — ამოიოხრებს პირველი, — მაგრამ ხუმრობა ხომ არ არის, 25 წელი ცოლ-ქმარი ვიყავით...

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 მარტს!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4459; ევრო - 3.0192;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3893;
100 რუბლი - 4.3328; თურქული ლირა - 0.6436;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4437;
1000 სომხური დრამი - 5.0889.

ამინდი 8 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +14
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +14
თბილისი: ღამე +3, დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge